“დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ გიორგი ლეონიძე



ლიტერატურული მესხეთი

№10 (300)
სექტემბერი
2023 წელი
უფასო

გამოცემის ოცდამეხუთე წელი "LITERATURULI MESKHETI"

„შენგან ჰუაკვს ხალხის სიცოცხლეს სიკვდილი დამარცხებული.“

გიორგი ლეონიძე

ქართული ეროვნული მართლმადიარული ცნობიერ

ნესტან სულავა,
პროფესორი

შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ ქართული სულის ის მარადიული სარკე და მთელი ერის ფილოსოფიაა, რომელშიც გაცხადებულია ქართველი კაცის ხასიათი, ერის წარსული, აწმყო და მომავალი. ქართველი ერი თავის სულიერ ხატს ჭვრეტდა „ვეფხისტყაოსანში“, რომელშიც აისახა მისი სულიერი და ინტელექტუალური ცხოვრება. იგი დღემდე „ვეფხისტყაოსნით“ ცდილობს საკუთარი არსისა და ბუნების ამოკითხვასა და შემეცნებას, „ვეფხისტყაოსნით“ საზღვრავს თავის სულიერ-ინტელექტუალურ შესაძლებლობებსა და მომავალს, „ვეფხისტყაოსანია“ მისთვის ეროვნული ცნობიერების უმაღლესი გამოხატულება და საზომი, რადგან მასში თავმოყრილი და განფენილია თავისი და წინარე ეპოქათა მსოფლიოს ძირითადი ინტელექტუალური მონაპოვარი, ნასაზრდოები და გაჟღენთილი ქართული სულით. მისი აზროვნების სტილი, მსოფლმხედველობა, მხატვრული სამყარო, სიმბოლ ური და ალეგორიული გამომსახველობითი საშუალებები მითოლოგიურ წანამძღვრებს, წინარელიტერატურულ ტრადიციებს, ფილოსოფიურ სააზროვნო სისტემებსა და საღვთისმეტყველო სწავლებას ემყარება.

რუსთველის პოემა ქართულ სივრცეს, სამყაროს ასახავს, მაგრამ იგი მხოლოდ საქართველოს არ ეკუთვნის – კაცობრიობის სულიერი კულტურის ხელიხელ საგოგმანები ობოლი მარგალიტია. ჰომეროსი, რუსთველი, დანტე, შექსპირი, სერვანტესი, გოეთე – ესაა ის ჯვარსახოვნებითი კონტექსტი, რომელშიც ქართველი ერის უპირველესი შემოქმედი მოიაზრება! „ვეფხისტყაოსანი“ შეიქმნა აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზაშესაყარზე მდებარე სამოთხისდარ ქვეყანაში, სადაც განსხვავებული ტრადიციები და კულტურები ხვდებოდნენ ერთმანეთს და თანაარსებობდნენ ისე, რომ პოლიტიკური დაპირისპირება, რაც საუკუნეთა მანძილზე თავს იჩენდა საქართველოს მახლობელ ქვეყნებთან ურთიერთობისას, არასოდეს გადაზრდილა კულტურულ დაპირისპირებაში, ვინაიდან კულტურა პოლიტიკაზე მაღლა იდგა ყოველთვის, მეტიც, თვით პოლიტიკა იყო კულტურის ნაწილი.

„ვეფხისტყაოსანი“ ყოველი თაობის წინაშე ახალ საკითხებს აყენებს, ყოველ ეპოქაში ახლებურად იკითხება, რის საფუძველიც ისაა, რომ რუსთველის პოემის პერსონაჟები, ერთი მხრივ, კონკრეტულად მოიაზრებიან, მეორე მხრივ, „ზოგად ადამიანის ბუნების მიხედვით არიან შექმნილნი და აგებულნი“ (ილია ჭავჭავაძე 1984: 595), ხოლო მთელი პოემა ქართველი ერის ფიზიკური და სულიერი ცხოვრების პროექციაა, ფილოსოფიაა, აზრისა და გრძნობის შეზავებაა. შექმნიდან მოყოლებული, „ვეფხისტყაოსანი“ მუდამ იბრძოდა; საგალობელთან, ქართულ სიმღერასთან, ცეკვასთან, კულტურის სხვა ფორმებთან ერთად, მან შემოინახა ქართული ეროვნული სული, გამოავლინა ერის ინტელექტუალური შესაძლებლობანი და იკისრა მისი სულიერი აღმზრდელის მისია. ძველ დროში ქალს გათხოვებისას ამიტომაც ატანდნენ მზვითად „ვეფხისტყაოსანს“, რათა ქართველ დედას რუსთველის ამაღლებულ იდეალებზე აღეზარდა შვილი, მისთვის სიყვარულისა და სიკეთის ქმნის მოთხოვნები შთაენერგა, ცხოვრების არსი ესწავლებინა, მარადიული ღირებულებების გზამკვლევად დაესახა.

შოთა რუსთველი „ვეფხისტყაოსანში“ არა მხოლოდ საქართველოსა და ქართველი ერის ცხოვრებას ასახავს, არამედ ქართველი ერისა და კაცობრიობის საზოგადოებრივი ცხოვრების კერძო და განზოგადებულ სურათს ხატავს, რის გამოც იგი კონკრეტულიცაა და საზოგადოც. პოემის პირველი გამოცემიდან 311 წელი გავიდა, რა დროიდანაც შეიქმნა უმდიდრესი სამეცნიერო რუსთველოლოგიური ლიტერატურა, რომელშიც სხვადასხვა ასპექტით განხილული და გარკვეულია მრავალი საკითხი. მაგრამ რუსთველი და მისი პოემა მუდამ აძლევს მკვლევარსა თუ დაინტერესებულ პირს საშუალებას, გამოთქვას თავისი მოსაზრება, ყოველ მკითხველს თავისი „ვეფხისტყაოსანი“ აქვს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს პოემის სახელწოდება, რომელიც მხატვრულ-ესთეტიკური, მითოსური, რელიგიური, ფენომენოლოგიური, დროსივრცული პოეტიკის თვალსაზრისით ბევრ საფიქრალს აღძრავს და სხვადასხვაგვარი გააზრების საფუძველს იძლევა. ამავე დროს, პოემის დედააზრსა და პერსონაჟთა საოცრად მდიდარ, მრავალფეროვან, ერთდროულად ტრაგიზმითა და ბედნიერებით აღსავსე გზას წარმოაჩენს.

პოემის სახელდებისა და ვეფხისტყაოსნობის არსის გასაგებად, მისი ლიტერატურული წანამძღვრების გამოსავლენად უნდა ვიმსჯელოთ აღმოსავლურ-დასავლურ ეპიკურ ლიტერატურულ თხზულებათა სათაურებთან მის მიმართებაზე. ამ თვალთახედვით „ვეფხისტყაოსნის“, როგორც პოემის, სახელდების საკითხი არ განხილულა. პოემის სახელწოდებას ჯვარსახოვნებითი თვალსაზრისით დროსივრცული მხატვრული ფუნქცია ეკისრება, რის საფუძველზეც შეიძლება მივიჩნიოთ ქართველი ერისა და მთელი კაცობრიობის მხატვრული სიტყვის სათაურ-ისტორიად, რომელშიც მათი ისტორიის სხვადასხვა ეპოქის, სხვადასხვა რიგის ინფორმაციებია ჩაკირული; აგრეთვე, მასში ერთდროულად წარმოჩნდება პოეტის მიერ ვეფხისტყაოსნობის, როგორც მხატვრულ-ლიტერატურული და სოციოკულტურული მოვლენის, რემითოლოგიზაციაც და დემითოლოგიზაციაც, მეტაფორულობაც, სიმბოლურობაც, ალუზიურობაც, ენიგმურობაც, საზოგადოდ, მხატვრული ბუნების უნივერსალურობა.

სამეცნიერო ლიტერატურაში არაეთგზის გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ შოთა რუსთველმა სიუჟეტის შენიღბვის ხერხის გამოყენის საფუძველზე პოემის მოქმედება გაშალა აღმოსავლეთის რეალურ და გამონაგონ ქვეყნებში, რასაც დაუკავშირდა პოემის ჟანრობრივი რაობის საკითხი; აღინიშნა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ განსხვავდება თავისი ეპოქის სხვა ქვეყნების ლიტერატურული ქმნილებებისაგან, რაც პოემის სახელდებაშიც ნათლად გამოიკვეთა. რუსთველის წინამორბედ და თანამედროვე ეპიკოს მწერალთაგან აღმოსავლურ-დასავლური ლიტერატურიდან შეიძლება დავასახელოთ „ილიადა“, „ოდისეა“, „შაჰნამე“, „რამაიანა“, „ხოსროვი და შირინი“, „ლეილი და მაჯნუნი“, „შვიდი მზეთუნახავი“, „საიდუმლოებათა საგანძური“, „ისქანდერ-ნამე“, „დიგენის აკრიტასი“, „სიმღერა ნიბელუნგებზე“, „სიმღერა როლანდზე“, „სიმღერა სიდზე“, რომლებშიც ასახულია ამა თუ იმ ქვეყნისა და ხალხის ისტორიული წარსული, ისტორიული მოვლენები და რეალიები, ხოლო მათში არეკლილი მხატვრული გამონაგონის გააზრება ზოგადსაკაცობრიო იდეალებს სწვდება. მათი სათაურები დაკონკრეტებულია და მკითხველი ადვილად ხვდება, რა არის თითოეული მათგანის ძირითადი საკითხი ან ვინაა მთავარი პერსონაჟი. ჩამოთვლილ ნაწარმოებთა სახელდებებში ისეთი სიღრმისეული რაობა და შინაარსი არაა ჩადებული, როგორიც რუსთველის პოემის სათაურშია. შოთა რუსთველმა ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო იდეალები შეარწყა, რაც ქრისტიანული მსოფლმხედველობისა და რენესანსულ საუროვნო სისტემათა ფონზე ასახა.

რუსთველის პოემის სახელდება კონცეპტუალურია, რადგან იგი გლობალური მნიშვნელობის მხატვრული სახე და მეტაფორაა, რომელიც თხზულების მხატვრულ-ესთეტიკური ფენომენის, მისი სიღრმის, მისი ძირითადი კონცეფციის გამომხატველ მხატვრულ საშუალებად გვევლინება; ეს სათაური ნაწარმოებში გადმოცემულ მხატვრულ ფაქტებსა და მოვლენებს მეტ მასშტაბურობას ანიჭებს, რაც პოემის ზოგადკაცობრიულ არსზე მიუთითებს; იგი მთავარ პერსონაჟთა ხასიათს, თვისებებს, სულიერებას, ცხოვრების ურთულეს და წინააღმდეგობებით აღსავსე გზას აჩვენებს.

„ვეფხისტყაოსანი“, როგორც პოემის სახელწოდება, მრავალშრიანია, ქარაგმულად კულტურის ისტორიის მრავალ ფენას მიანიშნებს და დროსივრცული მხატვრულ-ესთეტიკური მისია ეკისრება. მისი მნიშვნელობის განსაზღვრისას წამყვანი, ცხადია, მხოლოდ რუსთველურია, ვიკტორ ნოზაძის თქმით, საკუთრივ ვეფხისტყაოსნურია, მასში ყველა შრე, კერძოდ: მითოსური, ფოლკლორული, ლიტერატურული, რელიგიური, ზნეობრივ-ეთიკური, პოლიტიკურ-იდეოლოგიური, ფარული და შენიღბულია. პოემის სათაურის სრულყოფილად გასაგებად მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ „ვეფხისტყაოსანში“ სამივეზნურო-სათავგადასავლო სიუჟეტი აღმოსავლურ სამივეზნურო ხასიათისა და დასავლურ კურტუაზული ტიპის თხზულებებთან შედარებით განსხვავებულად ვითარდება. „ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიციურ მსვლელობაში არ შეინიშნება გადახვევები სიუჟეტის ძირითადი, წამყვანი ხაზიდან, რაც ახასიათებს რუსთველის ეპოქის აღმოსავლურ და დასავლურ ლიტერატურულ თხზულებებს. თუ შევადარებთ შოთა რუსთველის თანამედროვე ეპიკურ თხზულებებს, მკვეთრ განსხვავებას დავინახავთ. კერძოდ, ჰომეროსისა და ფირდოუსის პოემების სახელწოდებები, „ილიადა“, „ოდისეა“, „შაჰნამე“, ნიზამის პოემათა სახელდებები, კერძოდ: „ხოსროვი და შირინი“, „ლეილი და მაჯნუნი“, „შვიდი მზეთუნახავი“, „საიდუმლოებათა საგანძური“, „ისქანდერ-ნამე“, იმგვარ მხატვრულ სიღრმეს არ შეიცავს, როგორსაც „ვეფხისტყაოსანი“. მიუხედავად იმისა, რომ ფირდოუსის პოემა მოიცავს მითოსური, ისტორიული და მხატვრული აზროვნების ვითარების ერთმანეთისაგან განსხვავებულ ეპოქებს, იგი მაინც მეფეთა ცხოვრებასა და ერთ-ერთი უძლიერესი აღმოსავლური სახელმწიფოს ცხოვრების ასახვაზეა ორიენტირებული. ნიზამის პოემათა სახელწოდებები კი ძირითადად თხზულებათა პერსონაჟების სამივეზნურო თავგადასავლებს კონკრეტული სახელდებებით მიუთითებს, რაც დასახელებულ თხზულებებში იმდენად ფაბულას კი არ აკისრებს ძირითად მხატვრულ დანიშნულებას, რამდენადაც საკმაოდ ვრცლად წარმოაჩენს თითქმის ყველა მოქმედი პერსონაჟის განცდებს, რასაც სათაურებში გატანილი საკუთარი სახელების გალერეა ემატება, და ყურადღებას ამახვილებს მოტივებზე. თითოეული მათგანი ერთიან სიუჟეტურ ხაზს მიჰყვება, მაგრამ, ამავე დროს, ძირითადი სათქმელის გადმოცემას აღმოსავლური ლიტერატურისათვის დამახასიათებელი შენაკადების საშუალებითაც ცდილობს. ნიზამის მხოლოდ ერთი პოემის, მისტიკური თხზულების სათაური, „საიდუმლოებათა საგანძური“, სხვა პოემათაგან განსხვავებულ მხატვრულ გააზრებას გულისხმობს და მისი განმარტებისას უნდა გავითვალისწინოთ პოემის სტრუქტურა და კომპოზიცია, რადგან იგი 20 დიდაქტიკური ხასიათის, სიუჟეტურად ერთმანეთთან დაუკავშირებელი საუბრისაგან შედგება და თხზულებას მხოლოდ ამიტომ შეიძლება პირობითად პოემა ეწოდოს. მისი მიზანია ავტორის ფილოსოფიურ–რელიგიურ შეხედულებათა მხატვრული ფორმით გადმოცემა. მისი შესავალი ნიზამი განჯელის პოეტურ შეხედულებებს გადმოგვცემს. აღმოსავლურ თხზულებათა სათაურები პერსონაჟების სამივეზნურო-სათავგადასავლო ამბებს კონკრეტულად წარმოსახავს, ერთიან სიუჟეტურ ხაზს მიჰყვება. თითოეული თხზულების სათაური, მაგალითად, „ვისრამიანი“ („ვის ო რამინ“), „ხოსროვი და შირინი“, „ლეილი და მაჯნუნი“, „შვიდი მზეთუნახავი“, „ისქანდერ-ნამე“, კონკრეტულ მთავარ პერსონაჟებს გულისხმობს, წამყვანი სიუჟეტური ხაზი სათაურში გამოტანილ პერსონაჟებს მიჰყავთ, მაგრამ მთავარ პერსონაჟებთან ერთად სხვებსაც არანაკლები ყურადღება ეთმობა. შესაბამისად, ამ თხზულებათა სათაურთაგან თითოეული ორიენტირებულია კონკრეტულ პირთა სახელებსა და მხატვრულ სახეებზე.

შოთა რუსთველის პოემის სათაურში არ არის დასახელებული კონკრეტულ პერსონაჟთა სახელები, მაგრამ მეტაფორულად რომ ორი პერსონაჟია მონიშნული, პოემის ტექსტის გადამწერებმა თავის დროზე სავსებით სწორად გაიაზრეს და ხელნაწერებში აღნიშნეს, რომლებშიც სათაურის შემდგომ მინაწერი პოემის ტექსტის რაობას, მთავარ პერსონაჟთა ვინაობას

გაგრძელება მე-2 გვ. ▶

ქართული ხელოვნების მესამეული ხანა

◀ დასაწყისი გვ. 1

გვამცნობს და ნათლად მიუთითებს სათაურის სიხისმეტყველებას, სიმბოლურობას, როგორც წამყვან მეტაფორას: „ამა ჰამბავსა დასაწყისი. პირველ ამო და სასმენელად მშვენიერი სწავლისათჳს მოშაირეთასა, რომელნიცა უხმობენ ტარიელ და ნესტან დარეჯანს ვეფხისტყაოსნობით“. ეს მინაწერი მრავალმხრივ მნიშვნელოვანია პოემის სათაურის გასააზრებლად და მთავარ პერსონაჟთა თვისებების გასაარკვევად. საგანგებოდ აღვნიშნავთ, რომ რუსთველის წინამორბედი და თანამედროვე აღმოსავლური და დასავლური ეპიკური თხზულებათა სათაურები არ არეკლავს უძველეს მითოლოგემებს, ლიტერატურულ-მხატვრულ ტრადიციებს. მოუხედავად ამისა, პოემის მხატვრული ქსოვილის მეტაფორული აზროვნებისა და ჰიპერბოლური მხატვრული მეტყველების მახასიათებლები ალმოსავლურ-დასავლურ ლიტერატურათა წიაღშიცაა საძიებელი.

რუსთველის პოემაში ასახული ადამიანის კონცეფცია შუასაუკუნეების შეხედულებებისაგან განსხვავდება და სიახლეს ამკვიდრებს, რაც სათაურიდანვე ვლინდება. პოემაში ავტორმა ადამიანის შესახებ ადრეული შუასაუკუნეების ლიტერატურაში დამკვიდრებული თვალსაზრისისაგან განსხვავებული კონცეფცია ასახა, რომლის მიხედვით ტრადიციული გაგებაც შეინარჩუნა, რაც საკუთარი თავის შემეცნების მცდელობაში, ადამიანის ცხოვრებაში ღმერთის ადგილის შეცნობაში, ღმერთისადმი მის დამოკიდებულებაში გამოიხატა, და სიახლეც მოიტანა, რაც ადამიანის მისიის, ადამიანის თვითდამკვიდრების არსში, ინდივიდუალურის ღვთაებრივამდე ამაღლებაში დაინახა და რაც ადამიანის სულიერი ხსნის გზად დასახა. „ვეფხისტყაოსანი“, როგორც სათაური, ადამიანის სულიერ გარდასახვასა და ამაღლებას, პერსონაჟის, როგორც ინდივიდის, ღვთაებრივამდე აღსვლას ემსახურება, რაც განასხვავებს რუსთველის პოემას წინამორბედი და ამავე ეპოქის აღმოსავლურ-დასავლური თხზულებების სათაურებისაგან.

„ვეფხისტყაოსანში“, როგორც სათაურში, მოქცეულია ავტორისეული მხატვრული კონცეფციის უღრმესი შრეები, მას აქვს დროსივრცული განზომილება; ტარიელის ვეფხისტყაოსნობა, რომელიც ნესტან-დარეჯანის ხატ-სახითაა მოტივირებული, წარსულის შედეგია, რომელიც არსებობს აწმყოში და აუცილებელია მომავალში მისგან გათავისუფლება. მასში ვლინდება ტრადიცია, კულტურა, გამოცდილება. იგი შორეული წარსულიდან მომდინარე უძველესი მითოლოგემის ლიტერატურული გარდასახვაა, ბიბლიური სიმბოლიკითაცაა გაჯერებული, აგრეთვე, მთავარ პერსონაჟთა, ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის, ავთანდილისა და თინათინის შინაგანი ბუნების, სულიერი სამყაროს, მათი ინტელექტის სრულყოფილებისაკენ სწრაფვის გამოხატულებაა. ტარიელის ვეფხისტყაოსნობა მრავალმხრივ მნიშვნელოვანი მხატვრული სახეა, რომელშიც ერთდროულად წარმოჩნდება ავტორის მხატვრული კონცეფციის სხვადასხვა განზომილება. მართალია, პოემის სახელწოდება გულისხმობს ტარიელს და მის მიჯნურს ნესტან-დარეჯანს, მაგრამ ვეფხისტყაოსნობა, როგორც პიროვნების ცხოვრების, მისი არსებობის ტრაგიკული პერიოდის გამოვლინება, სულიერი თვითჩაღრმავების, საღვთო გზისაკენ სვლის სიმბოლო, პოემის ყველა პერსონაჟისათვის არსებითია.

ვ. ნოზაძის გამოუქვეყნებელ ნაშრომში „ვეფხისტყაოსანის ფსიქოლოგიისმეტყველება“ აღნიშნულია, რომ ტარიელში ნესტან-დარეჯანი ასოციაციურად ვეფხვზე წარმოდგენას დაუკავშირდა, ვეფხვისა და ნესტანის მსგავსება თითქმის ნამდვილად დასახა: „და როცა ნესტანი ტარიელს დაეკარგა, ნესტანის ეს მსგავსება ვეფხთან მას გარდაექცა განუყრელ წარმოდგენად, რაც ვეფხისა და ნესტანის მსგავსებაში გამოიხატა არა მარტო პირ-გამეხებით, არამედ შვენიერი სახითაც. ეს ასოციაცია უკვე ტარიელის შემეცნებაში აპპერცეპციად გარდაიქცა... ასმათსაც კი ტარიელის გავლენით ნესტანი ვეფხად წარმოუდგენია და (ტარიელს) ისეთ პირობას უქმნის, რაც განუყრელად ვეფხის მსგავსებასთან არის დაკავშირებული. ასმათი მას ვეფხის ტყავის სამოსელს უკერავს... ტარიელისთვის ვეფხი არის ნამდვილი ფსიქოლოგიური აპპერცეპცია და ეს ურთიერთობითი წარმოდგენა იქამდე მიდის, რომ ასმათი ამისათვის მას შესაფერის პირობებსაც უქმნის“ (ვ. ნოზაძე). ტარიელი არა მხოლოდ ჩაცმულობითაა ვეფხისტყაოსანი მოყმე, არამედ მთელი თავისი არსებით მყოფობს ვეფხის გარემოში, ვეფხივით „წავარნაში“ ცხოვრობს. საჯდომ-წამოსაწოლიც ვეფხის ტყავისა აქვს; ავთანდილიც მოზიარე ხდება ვეფხის ტყავისა, გამოქვაბულში ისიც ვეფხის ტყავის ნატეხზე ჯდება. ვეფხის აქსესუარი ერთდროულადაა სიმბოლური და მეტაფორული. ვეფხის მხატვრულ სახეში ვეფხისტყაოსნობის არსში რამდენიმე კულტურული ფენა ირეკლება, ოლონდ მასში რუსთველური, ვ. ნოზაძის სიტყვით, ვეფხისტყაოსნური, სრულიად ორიგინალურ შინაარსს იძენს და განსხვავდება წინარეკულტურულისაგან, რაც პოემის პერსონაჟთა სულიერი განახლების საწყისად, შესაბამისად, სამყაროს განახლებად მოიაზრება. ამიტომაცაა მთელი პოემა სიყვარულის გამოცდა.

„ვეფხისტყაოსანში“ მთავარ პერსონაჟთა – ტარიელის, ავთანდილის, ნესტან-დარეჯანის, თინათინის ქმედების უმთავრესი მიზანი დაკარგული ღვთაებრივი ჰარმონიის ძიება, მოპოვება და დამკვიდრებაა, საღვთო და გარეშე სიბრძნის მორიგებაა, მშვენიერების, სილამაზის, სულიერი და ზნეობრივი სრულყოფის მოსაპოვებლად ბრძოლაა. ისინი, როგორც ახალი თაობის წარმომადგენლები, ადამიანის გარდასახვის, პიროვნების აღორძინების იდეას აყენებენ. შოთა რუსთველმა არა მეფის მემკვიდრის, მეფის შვილის, არამედ პიროვნების, ადამიანი-ინდივიდის ინტერესები წამოსწია წინ, რითაც შოთა რუსთველმა თავისი მხატვრული სააზროვნო სივრცე წინარე ლიტერატურულისაგან მკვეთრად განასხვავა და ესეც წარმოჩნდა პოემის სათაურში.

„ვეფხისტყაოსანმა“ ასახა „ამბავნი, უკვდავებისა სწორანი“, ანუ „რა“, ხოლო თუ როგორაა ასახული „რა“, სხვა საკითხია. იგი გულისხმობს სილამაზის, მშვენიერების, ესთეტიზმის გამოსახვის პრინციპებზე დამყარებულ მეტაფორას, ალუზიასა და ენიგმას, რომელთა გარეშე არ იქმნება მაღალმხატვრული ნაწარმოები. „ამბავნი, უკვდავებისა სწორანი“ ისაა, რაც პოემაში სიმბოლურ-ალეგორიულად, მეტაფორულად, ალუზიურად და ენიგმურად გადმოიცემა მითოსური სააზროვნო სისტემის, ფილოსოფიური ხედვების, ბიბლიური მოტივების, სიუჟეტების, სახისმეტყველების, არქეტიპების საფუძველზე.

„ამბავნი, უკვდავებისა სწორანი“ გულისხმობს ღვთისგან ქმნილი მშვენიერებისა და სილამაზის იდეალის წვდომას, ხოლო სილამაზე და მშვენიერება არის აბსოლუტური ღირებულება, რომელსაც დადებითი მნიშვნელობა აქვს ყველა იმ პიროვნებისათვის, რომელსაც ძალუძს მათი აღქმა. სილამაზის იდეალი იქ მკვიდრდება, სადაც ყოფიერებას სრულყოფილი, ყოვლისმომცველი აბსოლუტური ღირებულება განსაზღვრავს. სრულყოფილი სილამაზე კი არის ყოფიერების სისრულე, რომელიც თავისთავში მოიცავს აბსოლუტური ღირებულების ერთიანობას, შეზავებულს გრძნობითით.

„ვეფხისტყაოსნის“ „ამბავნი, უკვდავებისა სწორანი“ უშუალოდ უკავშირდება პოემის დასაწყისის იმ სტროფს, რომელშიც ერთმანეთთანაა შეპირისპირებული „სპარსული“ და „ქართული“; „სპარსული“ არ შეიძლება იყოს „ამბავნი, უკვდავებისა სწორანი“ და, პირიქით, „ამბავნი, უკვდავებისა სწორანი“ არ შეიძლება იყოს „სპარსული“, რადგან რუსთველი, ფაქტობრივად, ემიჯნება სპარსულ პოეზიას, სპარსულ კულტურულ გარემოს, რაც იმითაც ჩანს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მიჯნურობა რადიკალურად განსხვავდება, მაგალითად, „ვისრამიანის“ ან „ლეილმაჯნუნიანის“ სიყვარულისაგან. „ვეფხისტყაოსანში“ სპარსეთი საქართველოსთან და ინდოეთთან შედარებით უარყოფით კონტექსტში განიხილება (გავიხსენოთ ტარიელის სიტყვები: „სპარსთა ვერა ვიქმ ინდოეთისა ჭამასა“), ასევეა „ამირანდარეჯანიანშიც“ (სხვათა შორის, ამას თავისი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი და სოციოკულტურული საფუძვლები აქვს). ამიტომაა „სპარსული ქართულად ნათარგმანები“, რაც ლიტერატურულ-ესთეტიკურ, პოლიტიკურ-იდეოლოგიურ, მსოფლმხედველობრივ, ზოგადკულტურულ თვალთახედვას გვამცნობს. ამიტომ უპირისპირდებიან ერთმანეთს „სპარსული“ და „ქართული“. „სპარსული“ ფაბულურია, ამბავს უკავშირდება, „ამბავი“ კი თხრობაა, ფაბულაა, ის ამბავია, რასაც ეფუძნება პოემის სიუჟეტური განვითარება, ხოლო „ქართულად თარგმანება“ კი მხატვრულ-ესთეტიკურ, კულტურულ, პოლიტიკურ-იდეოლოგიურ, მსოფლმხედველობრივ საფუძვლებს ემყარება და მკითხველისაგან ამ საკითხთა სანდომად მზაობას მოითხოვს. რუსთველი იყენებს ტერმინს „სპარსული“, მაგრამ მასზე არ ჩერდება; „სპარსული“ არაა სრულყოფილების არსის მქონე, რასაც მოწმობს პოემის შინაარსის გადმოცემისას სპარსულისადმი რუსთველის უარყოფითი განწყობა. საამისოდ დავიმოწმებ კ. კეკელიძის თვალსაზრისს, რომლის მიხედვით, ქართული ეროვნული თვითშეგნება ისე მკვეთრად არასოდეს გამიჯვნია სპარსულს, როგორც „ვეფხისტყაოსანში“ (ეტიუდები, IV, 128).

„ვეფხისტყაოსანში“ რუსთველის მიერ ასახული ღმერთის მიერ შექმნილი სამყარო მშვენიერია, ვინაიდან იგი სრულყოფილია, მთელი თავისი მრავალფეროვნებით უსასრულოა, მარადიულია, დიადია, ამაღლებულია, ხოლო „უთვალავი ფერით“ შემკული, ლამაზი და მშვენიერი სამყაროს გვირგვინი ადამიანია. შემოქმედი და შექმნილი მშვენიერია, ვინაიდან შექმნილი მშვენიერი ვერ იქნება, თუ თავად შემოქმედს მშვენიერების ქმნადობის უნარი და მისი ღრმა შეგრძნება არა აქვს. სამყარო მოძრავია, ცვალებადია, განახლებადია, სხვაგვარად მრავალფეროვანიც ვერ იქნებოდა. სამყაროს შექმნისა და მისი იერარქიულობის ღვთაებრივი ჩანაფიქრი მოწესრიგებულია, სისტემურია, ამასთან, მარადიული და უწყვეტია, „უჟამო ჟამია“, რაც აბსოლუტური სრულქმნილების საფუძველს ქმნის. სამყაროს ყოველი ნაწილი, ყოველი ელემენტი ჰარმონიულად უკავშირდება მთელს, რაც სისრულეს, ამაღლებულობას, მშვენიერებას წარმოშობს. „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით: „იგი გაჰხდის წამისყოფით, ერთსა ასად, ასსა ერთად-“(794).

„ვეფხიტყაოსნის“ სივრცული არეალი ძალზე ფართოა, იგი, ფაქტობრივად, მოიცავს მთელ კულტურულ აღმოსავლეთს: არაბეთს, ინდოეთს, ხვარაზმელთა სამეფოს, ხატაეთს; ლექსიკის გათვალისწინებით, გამონაგონი ქვეყნებიც – მულღაზანზარი, გულანშარო, ქაჯეთი – ამავე არეალშია საგულვებელი. დროსივრცული მონუმენტურობა რენესანსის თვისებაა. პოემის გმირები უზარმაზარ სივრცეს გადასერავენ დასახული მიზნის მისაღწევად. ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ თვით შოთა რუსთველმა თავის არს პოეტიკა-ში ეპოსს, დიდი ეპიკური ტილოს შექმნას მიანიჭა უპირატესობა, რაც ეპოქის მოთხოვნილება იყო.



ნ. მალცევის ნახატი

„ვეფხისტყაოსნის“ შექმნას წინ უძღოდა მონუმენტური ტაძრებისა და ციხე-ქალაქების აღშენება, მონუმენტური ფერწერის განვითარება. ეს ის ეპოქაა, როცა უცხო სამყაროსადმი ინტერესი იზრდება; ადამიანი სრულყოფილებასა და თვითგამოხატვას მიესწრაფვის, ამიტომ მისი თვალსაწიერიც ფართოვდება. ამას მოითხოვს ლიტერატურულ-ესთეტიკური პრინციპების განვითარების კანონზომიერება.

შოთა რუსთველის მხატვრულ სამყაროში უმთავრესი ღმერთის მიერ შექმნილი ადამიანია, ხილულ სამყაროში არსებული იერარქიის უმაღლესი საფეხური, რომლის ესთეტიკური სახე ყოველ მეტაფორასა თუ სიმბოლოში ვლინდება. „ვეფხისტყაოსნის“ გმირები იმთავითვე სრულყოფილ პიროვნებებად არ გვევლინებიან, ისინი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცხოვრებისეული წინააღმდეგობების გადალახვის შემდეგ აღწევენ სრულყოფილებას, ზნეობრივ ამაღლებას; შინაგანი მშვენიერებისა და ამაღლებულობის შეგრძნების საფუძველი ერთბაშად არ დამკვიდრდება, იგი თანდათანობით მზადდება, რაც პოემის სახელდების საფუძვლადაც გვევლინება. „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა მომავალს განსაზღვრავს მათი ზნეობა და ფსიქოლოგია, გმირი „გული გონიერით“ (სოლ.) შეიგრძნობს საკუთარ თავში, რომ ღმერთმა მასში თავისი ნება განახორციელა და იგი არა მხოლოდ სიტყვით, არამედ გრძნობადით, ინტელექტუალურითა და ნებელობითით, ე. ი. სულიერი ცხოვრებით უერთდება ღმერთს. იმედი, რწმენა და სიყვარული მასში ინტელექტუალურ სფეროში მარადიული ცხოვრებისაკენ სწრაფვას, ზესთასამყაროს სულიერებასთან შეხების გრძნობას აღვიძებს და ასაზრდოებს; გრძნობად სფეროში ღმერთისადმი, უზენაესისადმი ამაღლებული სიყვარულის შეგრძნებას უმკვიდრებს.

ადამიანის უმაღლესი ღირებულება პიროვნულობაა, ინდივიდუალურობაა. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები გამოკვეთილი ინდივიდები, სულიერებით გამორჩეულნი და ამაღლებულნი არიან, საკუთარი „მეს“ ძიებისაკენ, თვითშემეცნებისაკენ ურთულეს გზას გაივლიან. მათ უნდა აღმოაჩინონ საკუთარი თავი; ადამიანმა – პიროვნებამ, ინდივიდმა, რუსთველის ადამიანმა საკუთარ თავში უნდა იპოვოს ტრაგიზმის დაძლევის ძალა. შესაბამისად, „ვეფხისტყაოსანში“ ტანჯვაც გაესთეტიურებულია, რაც პოემის სახელწოდების მრავალმხრივობითაცაა დამოწმებული. „ვეფხიტყაოსანში“ მთავარ პერსონაჟთა ქმედების უმთავრესი მიზანი დაკარგული ჰარმონიის ძიება, მოპოვება და დამკვიდრებაა, მშვენიერების, სილამაზის მოსაპოვებლად ბრძოლაა, რომელიც კმაყოფილებისა და სიამოვნების მომგვრელია, ვინაიდან მათ სულიერი მშვენიერებით ამაღლებული განცდა მიუძღვით ღმერთთან შერთვისაკენ. რუსთველის ესთეტიკური მრწამსის საფუძვლებად გვესახება ის, რომ რუსთველური სამყარო ამაღლებულობის მშვენიერებით ხასიათდება, ვინაიდან უზენაესმა არსებამ, შემოქმედმა ღმერთმა სამყარო მშვენიერად შექმნა, რაც თავისთავად ღვთაებრიობის გაესთეტიურებას მოწმობს, ღმერთის მშვენიერების შეგრძნებამ კი ადამიანს ახალი გზა უჩვენა: „მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა“ (952). ესეცაა, რუსთველი ადამიანის მცდელობას ანიჭებს უდიდეს მნიშვნელობას: „ბედი ცდაა, გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მო-ცა-გხვდების“ (904). ესაა ადამიანის თვითსრულყოფისაკენ მიმავალი გზა, რომელიც სამყაროს განახლებისათვის მცდელობასა და გარჯას მოითხოვს. „ვეფხისტყაოსანში“ წარმოჩნდება, ერთი მხრივ, სამყაროს იერარქიულობა, რომელშიც, უთუოდ იგულისხმება წარმმართველი და დაქვემდებარებული, ხოლო, მეორე მხრივ, საფეხურებრივი განვითარება, რითაც ირგვლივ და ყველაფერში ჰარმონიულობა მიიღწევა. ამისთვის აუცილებელია ადამიანში სულიერი სრულყოფილების თვითშეგნების ჩამოყალიბება, ზნეობრივი ორიენტირის განსაზღვრა, ყოველგვარ განცდათა – მწუხარების, სიხარულის – საკუთარი ნებელობისადმი დაქვემდებარება.

„ვეფხისტყაოსანში“ ადამიანის გარდასახვის, ადამიანში პიროვნების გამოღვიძებისა და აღორძინების იდეას ახალი თაობა აყენებს: ნესტან-დარეჯანი და ტარიელი, თინათინი და ავთანდილი. რუსთველმა პოემაში წინა პლანზე დააყენა არა მეფის ასულის ან მეფის ძის, არამედ პიროვნების, ადამიანი-ინდივიდის ინტერესები. ამით ის მკვეთრად განსხვავდება წინარე ლიტერატურული აზროვნებისაგან. „ვეფხისტყაოსანში“ ძველი თაობა, ინდოეთის მაგალითზე, პიროვნულს, ინდივიდუალურს უგულვებელყოფს, რაც ახალ თაობასთან დაპირისპირების საფუძველი ხდება. ახალი თაობის წარმომადგენლებმა იციან, რომ ბედნიერების მოსაპოვებლად დაუსრულებელი ხანგრძლივი ბრძოლაა საჭირო და იბრძვიან კიდეც. სიახლის აუცილებლობას ახალი თაობა მთელი არსებით შეიგრძნობს და შეიმეცნებს; მან იგი ბრძოლით უნდა დაამკვიდროს. ძველი თაობიდან ამას როსტევანი ჩასწვდა პოემის დასასრულს. სიახლის დამკვიდრებამ საუკუნეთა განმავლობაში ჰაგიოგრაფიაში შემუშავებული პრინციპების კვალობაზე აღქმული იდეალური გმირის გაგება რუსთველის პოემაში შეცვალა, ეპოქის ლიტერატურულ-ესთეტიკური მოთხოვნების კვალობაზე – იდეალისადმი დამოკიდებულება შეიცვალა.

„ვეფხისტყაოსნის“ გმირების, ნესტან-დარეჯანის, ტარიელის, თინათინის, ავთანდილის სულიერ სამყაროს სიყვარული აღამაღლებს, ალამაზებს და ამშვენიერებს, რაც თითოეულ მათგანს ესთეტიკურად წარადგენს მკითხველის წინაშე. მათივე ამაღლებულობა, სილამაზე და მშვენიერებაა სხვათათვის გარჯა, სხვათა ბედნიერება, სხვათა სიყვარულის გასამარჯვებლად მცდელობა. ესთეტიკური და ეთიკური შეზავებულია, ხოლო ეთიკური, თავის მხრივ, გამშვენიერებულია. რუსთველის პერსონაჟები საკუთარ თავში აყალიბებენ სამყაროს მთლიანობის შეგრძნებას, რომელშიც ადამიანი-პიროვნება მიკროკოსმოსია. ღმერთის მიერ შექმნილ მშვენიერ სამყაროში ტრაგიკულიც მშვენიერად აღიქმება, თუ იგი პიროვნება-ინდივიდის ტრაგედიაა. ტრაგიკულის მშვენიერებად აღქმა რენესანსმა მოიტანა, ვინაიდან ადამიანური გრძნობა ყოველთვის მშვენიერია. მანვე დაამკვიდრა გონების კულტი: ყოველივე ამით გამშვენიერებულნი არიან „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები. მათში შეზავებულია გონითი და გრძნობადი ელემენტები, რის გამოც პოემაში შუასაუკუნეობრივი და რენესანსული ესთეტიკის სააზროვნო სივრცე ირეკლება და აისახება.

„ვეფხისტყაოსნის“ მთლიან, მონოლითურ სამყაროში, „უთვალავი ფერით“ შემკულში, ყურადღების ცენტრში ექცევიან პიროვნებები, რომლებიც ცვლიან მთელ საზოგადოებას, რადგან საზოგადოება პიროვნებათა, ინდივიდთა ერთიანობაა. რუსთველის ადამიანი არის მიკროსამყარო, ხოლო სამყარო – მაკრო ადამიანი. ამიტომაა რუსთველური მხატვრული აზროვნების ნაყოფი, „ვეფხისტყაოსანი“, გამოკვეთილი ინდივიდი შემოქმედის ღვთაებრივი სიბრძნით გაჯერებული, მარადიული მშვენიერებით შემკული მხატვრული სამყარო.

„ვეფხიტყაოსნის“ პერსონაჟთა საბოლოო გამარჯვება განაპირობა სიყვარულმა, რწმენამ, იმედმა, ღვთის განგებამ, ურთიერთთანადგომამ, თანალმობამ, მაღალმა ზნეობამ, ღმრთივგანბრნყინვალობამ, სულიერმა სრულყოფილებამ, გმირობამ და ვაჟკაცობამ. „ვეფხისტყაოსანი“ „ვით მარგალიტი ობოლი ხელოხელ საგოგმანები“ საუკუნეთა მანძილზე იბრძოდა და ამჟამადაც იბრძვის ზნეობრივი იდეალების დასამკვიდრებლად, ეროვნული ცნობიერების განსავითარებლად, კაცობრიობის გადასარჩენად.

ᲓᲣᲠᲛᲘᲨᲮᲐᲜ ᲑᲔᲠᲘᲫᲔ

ღამის ბინდი ჩამოწვა მტკვრის ხეობაში, წამით გაირინდა მთელი ბუნება. შევერცხლილ ცაზე ბღუჯაბღუჯა გამოჩნდნენ მანათობელნი.

მოჩუხჩუხე მტკვარს ხანდახან გადაუფრენდნენ შეშინებული ღამურები და კოცონთა სინათლით გაბრუებულ კლდეთა ქიმებს ეფერებოდნენ.

მტკვრის ხეობაში, თმოგვის ციხის ახლოს, მრისხანე შაჰ-თამაზის ლაშქარი სთვლემდა. ლაშქრის შუაგულში აღმართულიყო ოქროსფერი კარავი. კარავში სიჩუმე სუფევდა, რბილ ტახტზე ხავერდიანი მუთაქებით გარემოცული მდუმარედ იჯდა სამცხის ათაბაგი ქაიხოსრო, მრისხანებისაგან ულვაშებს იკვნეტდა და წარბების ქვეშიდან მისჩერებოდა კარვის კარებთან გოლიათურად აღმართულ თმოგვის კედლებს.

ხვალ, დილისთვის, თმოგველთა დიდება ჩაესვენება, – გულში ფიქრობდა ქაიხოსრო, – დიდება, რისთვისაც იბრძოდა და საკუთარი ხერხითა თუ ძალით ამდენ ხანს ვერ შეძლო მისი მოპოვება, დაე, ყველა მისმა მოწინააღმდეგემ გაიგოს, რა მეფის კალთას შეაფარა თავი. მის გულს არავითარი შიშის ნატამალიც კი არ ღრღნიდა. რამდენი წელია, რაც ცოლშვილისა არაფერი იცოდა და, თუმცა მრავალჯერ ჰქონდა მათი ნახვის შესაძლებლობა, თავს არიდებდა შეხვედრას.

მამაშვილური ალერსი კიდევ ცოცხლობდა მის ამაყ გულში, მაგრამ დიდებისაკენ ლტოლვა ყოველგვარ სიყვარულს ჩრდილავდა. თუ მალე მიზანს მიაღწევს და დამოუკიდებელი სამცხის ათაბაგი შეიქმნება, პირველ რიგში მეფე ლუარსაბის მომხრეებს დასჯის. შემდეგ კი, აღმოსავლეთის მეფეების მსგავსად, გაიჩენს მოცეკვაველებსა და თრიაქით გაბრუებული ლამაზ დიაცთა ალერსით დატკბება.

მართალია ქართლის მეფე ვერ შეურიგდება ამ ამბავს, შეჰყრის ლაშქარს და შურის საძიებლად გამოემართება, მაგრამ, როცა მესხეთის მიდამოებს ყიზილბაშებით ავსებულს დაინახავს, შეშინებული გორის ციხეს ამოეფარება.

ქაიხოსრომ ძილის წინ ამაოდ იბორგა ლოგინში, ბოლოს ვერ გაუძლო ცდუნებას, რამდენიმე მცველი გაიყოლია და მტკვრის ხეობას გაუყვა. ქარი თმას უწეწავდა და უბეში უძვრებოდა. ღამის ბინდში ასვეტილ თმოგვის ქონგურებსა და მოლივლივე მტკვრის ტალღების გარდა ვერაფერს ხედავდა... ნელი ნაბიჯით მდინარის ნაპირზე ჩამწკრივებულ ვერხვებამდის ჩავიდა. პირისახე დაიბანა. თითქოს არც ამან უშველა მის მღელვარე გულს. წყალში კისრამდე ჩაყო თავი და ფეხზე წამოდგა. მზერა ბინდში ასვეტილი ქონგურებისკენ გააპარა... „ჰო, მისი შვილი, მისი ასული, სილამაზისა და უჭკნობ ვარდთა განსახიერება, დიდი ხანია არ უნახავს, კიდევ რამდენიმე დღე და თექვსმეტი წლის გახდება...“ წამით შეჩერდა, გულში ეჭვის ტალკვესმა გაჰკრა: „ვაი თუ შაჰმა... მაგრამ, არა, ის ხომ ჯერ ბავშვია, შაჰი ამას როგორ იკადრებს“, – წარმოსთქვა ჩუმად და კვლავ ბნელში ასვეტილი ქონგურებისკენ გააპარა მზერა.

უეცრად, თითქოს ღამის ბნელი ფარდა გადასწიესო, სიმღერის ჰანგები დაეფინა მიდამოს.

გაღმა ვიღაც სევდიანად მღეროდა.

ჟღერდა ქნარი, ნელა არხევდა ღამის ბნელ რიდეს. ქალის წმინდა ხმა გულის სიღრმემდე სწვდებოდა ყველას. მღეროდა ქალი სამშობლოზე, სიყვარულზე, თამარის სილამაზესა და ქართველთა მამაცობაზე. უმღეროდა მთებს თეთრქუდიანებს, მწვანეხავერდიან ველებს – ნაკადულებით დასერილს, უმღეროდა მშობლიური მხარის სიკეკლუცესა და მომხიბვლელობას.

ქალის სიმღერამ ქაიხოსრო სევდის მორევში ჩაფლო და ბურანში გაახვია... მის წარმოდგენაში უმალ გაცოცხლდა 1535 წელი. მაშინ სრულიად ახალგაზრდა ჭაბუკი მამას, ყვარყვარე ათაბაგს ახლდა მურჯახეთის ბრძოლაში. მძიმე დრო იყო. ჯერ კიდევ პაპამისის, მზეჭაბუკ ათაბაგის დროს, ზოგიერთმა მესხმა აზნაურმა სამცხეში შემოსულ თურქებს ყმობა შეჰფიცა და ზეკარის გადასასვლელით იმერეთში წარუძღვა სალაშქროდ. ყრმა მეფე ბაგრატს ძალა არ შესწევდა მტრის დასახვედრად. ქუთაისამდე მოაოხრეს თურქებმა ქვეყანა და იმავე შემოდგომით დაიხიეს უკან, მოერიდნენ, – ვაი თუ თოვლს ზეკარის უღელტეხილი ჩაეკეტა და ხაფანგში მოხვედრილიყვნენ...

შემდეგ ბაგრატ მეფე გაძლიერდა, ქართლის მეფე ლუარსაბთან და ლევან კახთა მეფესთან მეგობრული კავშირი დაამყარა, უეცრად თავს დაესხა სამცხეს და მრავალი ციხე დაიპყრო. მესხ-იმერთა გადამწყვეტი ბრძოლა მურჯახეთის ველზე მოხდა. ორივე მხრიდან ქართველები ერკინებოდნენ ერთმანეთს, ირგვლივ ისმოდა ვაი და ვიში, მაგრამ არავინ იყო დაჭრილთა გამკითხავი.

ბაგრატმა ამ ბრძოლაში მესხები დაამარცხა, ათაბაგი ყვარყვარე ხელთ იგდო და სამცხის მრავალი ციხე შემოიმტკიცა.

მესხმა აზნაურებმა გადაწყვიტეს დახმარება თურქებისათვის ეთხოვათ.

ოთარ შალიკაშვილმა სტამბოლს მიმავალ ამალაში ქაიხოსროც მიიღო და ხონთქარს ეახლა.

ქაიხოსრომ პირველად იქ, სტამბოლის ბაზარზე ნახა, როგორ იყიდებოდა საქართველოდან მოყვანილი ტყვეები...

ისინიც ხომ ქართველები იყვნენ, ქრისტიანები. ზოგიერთს ჩვარში გამოეკრა მშობლიური მიწა და სტამბოლის ბაზარზე მდგარს ისღა დარჩენოდა სანუგეშებლად.

რამდენიმე წლის შემდეგ სამცხის დესპანმა თურქთა ოცდაორიათასიანი ლაშქარი დასძრა ბაგრატის წინააღმდეგ,

იმერნი ქარაღაქის ველზე შეებნენ და სასტიკად დაამარცხეს თურქები. რაღა რჩებოდა ქაიხოსროს, კვლავ ხონთქარს სთხოვა დახმარება, მერე შაჰ-თამაზს... იმ დღიდან მისთვის ათაბაგთა ტახტზე ჯდომა ხმლის ტრიალი და სისხლისღვრა იყო მთავარი. ხან თურქი, ხან ყიზილბაში შემოჰყავდა მესხეთში, მისთვის სულ ერთი იყო, ვინ ააოხრებდა ქვეყანას, რა მსხვერპლს გაიღებდა ხალხი, ოღონდაც ათაბაგის ტახტზე მჯდარიყო.

ერთხელ ქაიხოსრო მარიამობა დღეს ვარძიის პალატებს ესტუმრა, ის, როგორც ყვარყვარე ათაბაგის მემკვიდრე, დიდი მოწიწებით მიიღეს...

ოქროს კარების თვალისმომჭრელი კიაფით დასტკბა. მერე თამარის ფრესკის წინ მუხლი მოიყარა და შეჰღაღადა: „ბრწყინვალე მეფევ, მთელი აღმოსავლეთისა, დამლოცე ამა და იმ ქვეყნად ამ დიდებულ ტრაპეზიის მშენებელ ივანეს მემკვიდრე და მომე ძლევაი მტერთა ზედაო“... ვარძიის წინამძღვარი მოწიწებით შეუძღვა და აჩვენა „უმდიდრესი ბიბლიოთეკა აღმოსავლეთისა“.

ქაიხოსროს დიდად ეწყინა, როცა საღმრთო წიგნებს შორის ვერ ჰპოვა „ვეფხისტყაოსანი“. მაშინვე ბრძანა: ათაბაგთა სასახლიდან ამოერთმიათ და ვარძიისათვის შეეწირათ რუსთაველის წიგნი.

მონასტრის წინამძღვარმა იუარა, – „ის ხომ შერისხული წიგნია და წაბილწავს სულსა“.

ქაიხოსროს დიდად ეწყინა ეს ამბავი. მაინც ვერ მიხვდა, რატომ ჰკრძალავდნენ სულიერი მამები ამ წიგნს...

იმ დღიდან იგი თან ატარებდა „ვეფხისტყაოსანს“, ხოლო როცა შაჰ-თამაზს შაქში ეახლა და თავისივე მამულის დალაშქვრა სთხოვა, ვიღას ეცალა წიგნისათვის...

სამცხეში სალაშქროდ მოწვეულმა ყიზილბაშებმა, როცა გზად შეხვედრილი მრავალი სრა-პალატა გადასწვეს და მრავალი წიგნიც ზედ მიაყოლეს, ქაიხოსროს სინანულის კვნესაც კი არ ამოხდომია: მან ხომ სამაგიერო გადაუხადა ვახუშტი და შერმაზან ლორის მთავრებს, რომლებმაც მისი სამკვიდრებელი ქართლს მიაკუთვნეს.

... ამ სიმღერამ კვლავ მოაგონა წიგნის ძალა... სიმღერისა და სიყვარულის ძალა.

ქაიხოსროს გულის სიღრმემდე სწვდებოდა ქალის ხმა, ეკლებად ესობოდა მისი სიტყვები, იარას უხსნიდა, ბრძოლაში იწვევდა და თითქოს ეუბნებოდა: „მე ერთი სუსტი არსება ვარ, სამშობლოზე შეყვარებული, მახვილით ხელში ვდგავარ მის დასაცავად... და თუ ბრძოლაში დავლიე სული, მერე და რა – მამულის ტრფობას შევწირო თავი...

შენ კი რა გგონია, ჩემი სიყვარული ჩემს სიკვდილთან ერთად გაჰქრება?! არა! იგი იცოცხლებს ხალხის გულში, მშობლიური მიწის ყოველ მტკაველში...

შენ კი ვინა ხარ? სამშობლოს მოღალატე, ძმის მკვლელი, გვარის მაქექი, ფლიდი და ორპირი არსება! მოსულხარ აქ იმისათვის, რომ შვილი მოჰკლა, ოჯახი ააწიოკო, სახელი მახვილის ძალით განადიდო... შენივე ხალხის სისხლით შეღებო მტკვარი... და ყველაფერ ამას გაპატიებენ განა?!“

– ვინ, ვინ არ მაპატიებს?! – წამოიძახა შეშინებულმა და თავი ჩაქინდრა.

შენ გგონია, ჩვენ ყველა დავიხოცებით?! არა! კვლავ ვიცოცხლებთ და შენი შთამომავლობა წყევლა-კრულვით მოიხსენიებს შენს ბინძურ სახელს...

შეწყდა სიმღერა...

გაყუჩდა ბუნება...

მტკვარმა თითქოს თავისი ხმაურის დამალვა დააპირარო, კლდეთა პირებს დაუწყო ლაციცი.

ირიჟრაჟა...

დოლების ბრახა-ბრუხმა გააყრუა მთელი მიდამო.

შუბების ტყეები ხეობაში თანდათან გაიშალნენ და ჭიანჭველებივით მიაწყდნენ თმოგვის კედლებს.

ამაოდ ცვდებოდა მტრის სიმრავლისაგან დაჯაბნილი მესხთა მახვილი, ამაოდ ისმოდა გაბედული – „ჰკა მაგას!“ ძახილი და მტერზე მიტანებულ მებრძოლთ ყიჟინა.

ყიზილბაშებით გარშემორტყმული ქაიხოსრო ციხეში შევარდა. ხმალდახმალ გზა გაიკაფა და საჭურჭლეთ საცავისაკენ გაქანდა...

წინ უცხო მოყმე შეეჩეხა, რომელიც ვეფხის სიმარჯვით ხმალს იქნევდა და ყიზილბაშებისაგან თავის დაღწევას ცდილობდა, თან მკერდზე რაღაცა ნივთს იხუტებდა...

ქაიხოსრომ მშვილდი მოზიდა... უცხოდ დაჭიმა ლარი... ველურად გაიზუილა ისარმა და ნახევრამდე შეერჭო დამხვდურს... მოყმემ შემზარავად შეჰკივლა, ხელები ჰაერში გაასავსავა და მოჭრილ ხესავით კიბეზე დაეცა.

ამ ხელოვნებით მოხიბლული ქაიხოსრო მსხვერპლისკენ გაქანდა. სახეზე ჩამოფარებული მუზარადი გადაუწია და... გახევებული დაჰყურებდა უწვერული მოყმის გატანჯულ სახეს.

ისარს მკერდზე მიკრული ნივთი გაეხვრიტა და ღრმად ჩამჯდარიყო სხეულში...

აუღინღლავ სახეზე ტანჯვის იერი გადაჰკრავდა, ხოლო ღიად დარჩენილ თვალებში შიში და ძრწოლა აღბეჭდოდა...

გაციებული ხელებით ჩაბღუჯოდა მკერდზე მიკრულს და, თითქოს ისრის წვერისაგან მის დაცვას ლამობსო, – უმწეოდ გადაეფინა ნაწნავები.

გულხელდაკრეფილი იდგა ქაიხოსრო, დამზერდა ხან ქალწულის გაციებულ ცხედარს, ხან წიგნს მესხისას და აცახცახებული ბაგეებით მხოლოდ ერთ სიტყვას იმეორებდა: „შვილო, შვილო, შვილო!...“

მის გარშემო ინგრეოდა ქართული ხელოვნების დიდებული ტაძარი, საუკუნეების განმავლობაში მოპოვებული საუნჯე. თმოგვის ციხე, რომელსაც არაერთხელ დიდების შარავანდედით შეემოსა ქართველი ხალხის საბრძოლო გენია, უკანასკნელ საათებს ითვლიდა...

ტიროდა ქაიხოსრო ცხედართან პირქვე დამხობილი და ვერ გაეგო მისმა ღალატმა ვის უფრო მეტი ზარალი მოუტანა, ვის უფრო ემწვავა მის მიერ შემოქნეული მახვილი და ვისთვის გახდა იგო საბედისწერო.

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲕᲐᲠᲗᲐᲒᲐᲕᲐ

თმოგვის ციხესთან

თმოგვის ქონგურთა მესმის გალობა,
დადაღულ კედლებს აწვიმს და აწვიმს,
ისე ვით ვეფხვი თავგანწირული,
თვალებით ვზომავ ძირამდე მანძილს.

იყო ღაღადი დედის ბაგეთა,
ასე ფასობდა ქვეყნისთვის მოყმე,
და უხდებოდათ ჯავშან-ქაფები
ისრის პირებით დაკაწრულ ლოყებს.

ვინც ასე ჭედდა ზღაპრულ გმირობას,
და დედამიწას ბოლი ადინა,
ვინც საბნად სისხლი ჩაიყოლია, –
ეს უკვდავებაც მისი მადლია.

ახლა, როდესაც გმირთა ლანდები
ღამეს ტეხავენ ხანჯლის წვერებით, –
თმოგვის ქონგურებს მძივად ჰკიდია
ქართველ დედების ცხარე ცრემლები.

დღეს აღარ ისმის ხმა დაფდაფების
და არც უბელო ცხენთა ჭიხვინი,
მოსულა ხავსი, ვით დავიწყება
და მოსდებია კედლებს ჭირხლივით.

მაია ღიაკონიძე

ამირანო!

(ხალხურ მოტივებზე)

საკვირველზე საკვირველო,
გმირობა ხომ არ იაფობს,
სადაც დავალ, შენც იქა ხარ,
გულში მზედ რომ იკიაფო.
ვფიცავ კოპალას და იახსარს,
ლაშარსა და გუდანს ვფიცავ,
ხახმატს, ყველა სალოცავებს,
სულ მუდამ რომ დამაქვს ფიქრად.
დევ-გმირების სამეფოში,
შენ ერთი ხარ, არ გშურს სხვისა,
ამირანი ამირანობ,
ძევ ქართველი ქალღმერთისა.

ჩაფიქრებული ხომ არ გაქვს!

(ხალხურ მოტივებზე)

ჩაფიქრებული ხომ არ გაქვს,
ვაჟო, შენ ჩემი სიკვდილი,
ვერ მაიცალე ჩემთვინა,
აღარც მწერ, აღარც მიღიმი.

გულში რომ ჩამსახლებია
მე, უშენობის ტკივილი...
ცრემლად მეცემა მკერდზედა,
ბრწყინავს საკინძის ღილივით!

ქალი და სარკე

მიაჩერდა დაჟინებით ქალი სარკეს,
ოდითგან რომ წინაპართა სახლში იდგა,
და რას ხედავს, ბებიამისს უგავს სახე,
– ,,ბებო", ყელში გაეჩხირა უცებ სიტყვა.

შეკრთა, როცა ნაოჭები დაინახა,
და ნაღველით დაბინდული ნაზი მზერა,
სარკეში რო ქცეულიყო ათინათად,
ღიმი იყო, მას ჩუქნიდა ბებო ძველად.

დასთამაშებს ნათლის სხივი ქალის სახეს,
სადღაც მთიდან მზე გორდება,
დაბლა მოდის,
ნუთუ სარკე, აქ რომ იდგა, იქცა მახედ,
ბებოს სული შიგ ჩარჩა და ვერ გამოდის?!

მიტომ ვეღარ დაემალა იმის თვალებს,
ეს კავშირი არასოდეს არა წყდება,
და შეჰყურებს ქალბატონი იმ
ძველ სარკეს,
ტუჩზე ღიმით ბებო თავზე ეფერება.

დედაჩემს!

დედაჩემს თეთრი ხელები ჰქონდა,
ვარდის სურნელი სდიოდა ხელზე,
და ახლა როცა ძალიან მიჭირს,
ვარდების ბაღში დედაჩემს ვეძებ.

დედაჩემს ლურჯი თვალები ჰქონდა,
სიო დაჰქროდა მღელვარე ტბებზე
და ახლა, როცა ძალიან მიჭირს,
უკიდეგანო სივრცეში ვეძებ.

დედაჩემს მარჯნის ტუჩები ჰქონდა,
მარგალიტებით ანთებდა ზესკნელს,
და ახლა, როცა ძალიან მიჭირს,
მარჯნის ნაპირზე დედაჩემს ვეძებ.

სული ბავშვივით უმანკო ჰქონდა,
ახლა მაღლაა, მაღლაა მზეზეც,
და ახლა როცა ძალიან მიჭირს,
ზევით ზეცაში ანგელოზს ვეძებ.

განა ასაკს ვმალავ?!

მაღლა მთიდან რომ უბერავს სიო,
და ეხება შენს ტუჩებს და თითებს,
განა ვინმე ეკითხება ასაკს,
როს ჩუჩულებს სიყვარულის მითებს?!
მზე დაგნათის ნათელი და მწველი,
მაგ ლოყებზე კოცნას დაგიპირებს,
განა ვინმე ეკითხება ასაკს,
წითელთმიანს, ლამაზსა და პირმზეს.
ტალღები რომ მოგაწვება მკერდზე,
ალერსით რომ მიგაგებებს ედემს,
ნეტავ, ვინმე ეკითხება ასაკს,
ზღვას, ნაპირზე თვალებით რომ გეძებს?
მეც ნუ მკითხავ, ვეტოლები უკვდავთ,
თორემ განა წლოვანებას ვმალავ,
მე ვარ თვითონ მზე, ზღვაცა და სიოც
და გიმზადებ უკვდავების წამალს.

წინაპრების გახსენება

კვლავ ჩემი სახლის პარმაღზე ვდგავარ,
თუმცა აღარ ვარ მისი ნაწილი,
კარის სახელურს კრძალვით ვეხები,
შეჩერდა დრო და გაქრა მანძილი.
ჩემი დარდები, როგორც ჩრდილები,
გადასწოლიან ცისფერ ფოლიანტს,
მზე ჩადის ისე, მგონი, ძილშია,
რა ესიზმრება წითელ გოლიათს?
არ მინდა ვიყო მკაცრი მსაჯული
ჩემი თავის და განწყობას ვიწყობ,
მაგრამ სიჩუმე თავს დამტრიალებს,
ფეხებთან მაწევს გველივით თითქოს,
სულისშემხუთველ მისტერიებში,
მოგონებებში წინაპრებს ვიხმობ,
ვინატრე, ახდა, ესეც ბედია,
ხელით ვეხები ვენახის ჭიგოს,
რომელსაც პაპა თლიდა ოდესღაც,
რიგში აწყობდა მოხდენით თითოს,
ჭირისუფალის მოჰგავს გოდებას,
იდუმალი ხმა ეძახის თვისტომს...
გაშავებულა სახლის კედლებიც,
ჩამოწოლილა ვაშლი ლოდებად,
ეზოში დგანან ძველი ქვევრები,
გახსენებიათ ძველი დროება,
მივდივარ მათთან და ვეფერები,
ვერ კი ვახერხებ გულის მოგებას,
მიწას ეკრობა, ვხედავ, ყოველი,
ჟამთმდინარების ტალღას მოჰყვება.
მზეზე გამომაქვს ძველი ხალიჩა,
რომ შეისრუტოს ეზოს ნიავი,
უძღები შვილი ამას წავიტან,
ავწონ-დავწონი, რა აქვს ზიანი,
იმასაც, როგორც ამ სახლს, გავყიდი
და სულის მოთქმას ლხინით აღვნიშნავ,
აღარ გაჩნდება ის ბედაური,
ვარსკვლავებთან რომ ცაში ამიყვანს?!
ბოდიშს მოვუხდი ლეღვს და უნაბებს,
რომ ვერ ვექეცი მწედ და პატრონად,
დავშორდი ისე, ვეღარ ვუწამლე,
ჩემი ფუძე ქართლის მთა და მდელოა,
სულს მისერავს წინაპართა დარდი,
ვაყურადებ ჩემი კუთხის გულს და ხმას,
არწივივით მაღლა ცაში აჭრილს.

ერთით მეტი ვარ ყველაზე!

თავზე მეტადაც მიყვარხარ,
მსურს, მოვისროლო ბადე,
ბედის ვარსკვლავს რომ მიჰყავხარ,
იმ ბილიკებზე დაგხვდე,
განა, ყომრალი ფიქრია
ნაოცნებარი ბევრის,
ნიავზე სწრაფად მიქრიან
საათები და წლები,
წაწალს წაგართვა მიჯნური,
ჩამოვაბურო ფარდა,
რომ ვეღარსაით დაგლანდოს,
ჩამოიღვენთოს დარდად.
ერთით მეტი ვარ ყველაზე, –
ასე არავინ გნატრობს,
შენი თვალების მინანქარს
მსურს შევხაროდე მარტო,
ცის სილურჯეს და ზღვის სივრცეს
სასწაულად რომ იტევს...
ჩავიძირები, მოვკვდები
და გავცოცხლდები ისევ.
ცა გინანავებს მზის აკვანს
და მზესთან ერთად გარწევს...

ნახ. სოფიო ჭელიძისა

მხოლოდ სურათი მოვხსენ თაროდან,
მაგრამ რა ვუყო იმ ძველ ჭრილობას,
რომელიც ტანჯვით ჩემს სულს გახსნია?
ვემშვიდობები სახლს – ძველ მეგობარს,
ძაღლი კი მომყეფს: "ეს ღალატია!"

ჩემი ფუძე

ჩემი ფუძე ქართლის მთა და მდელოა,
გვირილების თვალწარმტაცი სივრცე,
ლურჯ მწვერვალთა
,,საიდუმლო სერობა",
გულს მგზნებარე ნაპერწკალით მივსებს.

ნაზ გაზაფხულს სიყვარულის მზე მოაქვს,
შემოდგომას – ქარვისფერი ზვრები,
ჩემი ფუძე ქართლის მთა და მდელოა,
თვალანკარა ნაკადულთა ცვრები.

დასაფიცად გოჯი მიწაც მეყოფა,
მამა-პაპის შესანდობარს დავლევ,
ქართველ კაცის გმირობა და ზნეობა,
რაინდული მზერა ლხენით მავსებს.

ჩემი სოფლის ულამაზეს ხეობათ
გადავცქერი სიამაყის გრძნობით,
ჩემი ფუძე ქართლის მთა და მდელოა
და ყინულზე მოციმციმე თოვლი.

მზეს ვიგულებ უერთგულეს მეგობრად,
მთელი გულით შევტრფი დილის სისხამს,
გაგვიმრავლოს ნათლობა და ძეობა,
ოდითგანვე კურთხეული ღვთისგან.
რა სავალალოდ შემომხვდი
ბრმა წუთისოფლის გზაზე!

სახლო!

ვეღარ გხედავს გულის თვალი,
ვეღარ გწვდება ჩემი მზერა,
სახლო, ვისზედ მიმინდიხარ?!
სად მიმაგდო ბედისწერამ?!

გადაკარგულს მეძებს ქარი,
არევია ზენა, ქვენა,
აღარ რეკავს სოფლის ზარი,
ვეღარ შეგვკრებს ერთად ყველას.

მოსტეხია ირემს ფეხი,
და ტყუილად უხმობს მშველელს,
პატრონი რომ აღარა ჰყავს,
სახრავს ძაღლი სხვაგან ეძებს.

ლიბოს გველი შესჩვევია,
ის დარაჯობს ახლა ედემს...
მაგრამ ღმერთი არ გაგვწირავს,
სიკვდილად ვით გაგვიმეტებს?!

შენ, კახეთო!

წვიმდა, წვიმდა, უცნაურად წვიმდა,
დასდიოდა ცრემლი მხოლოდ ვაზებს,
და კახეთის ამ საოცარ მიწას
მზე აფენდა ციდან ფიანდაზებს.
ღობე, ღობე, გავსებული ეზო
ყვავილებით ქვევრებით და ჭურით,
შენ კახეთო, თეთრ ღრუბელთა მწყემსო,
სიტკბოებით გამომივსე გული.

დაფენილი რუხნისლები ცაზე,
მოვედი და მყისვე შევიყვარე,
გვერდზე გადექ, საქართველოს მტერო,
მზე დაადგა ხორბლის ნაფერ ყანებს.

ვერა, ვერ მორჩა!

ვერა, ვერ მორჩა ეს ქარი ქირდვას,
და ჩემი გული, სისხლის საკანი,
მოიღალა და დააწვა კირთად,
ყოველი სიტყვა, — ტყვია ნაგანის.
გაუძლებს ნეტავ ეს გული ამდენს?!
ყველა ტკივილი ზედ რომ ატყვია,
თითქოს წვეთებად თოვლზე
სისხლს ადენს,
ყოველი სიტყვა, – ნაგანის ტყვია.

ფანელის კაბა

გახუნებულა ფანელის კაბა,
ძველ ჩემოდანში ჩრჩილები ჭამენ,
არ გადაიხდის არავინ აბაზს,
ჩემთვის კი ნიშნავს ეს კაბა რამდენს...

ხსოვნის ზანდუკში ფშვინავენ ხმები,
,,ბებია, კაბა გიხდება როგორ,
ისეთი კოხტა, ლამაზი მყავხარ,
აბა, ვისა ჰყავს ასეთი გოგო!"

მზემოკიდებულ მკლავებზე მიწვენს,
პაპა, უჩუმრად მიმღერის ,,ნანას",
,,ისეთი კოხტა, ლამაზი მყავხარ,
ნეტავ ვინ არის აქ შენისთანა!".

ბედისწერის ქარს მივყვები აშარს,
გახუნებულა ფანელის კაბა,
სხვა რომ არავინ არ მისცემს აბაზს,
მე ვერაფერში ვერ გავცვლი ამას!

სხვა ასეთი სადღა ვნახო?!

როცა თვალწინ მიწევს ველი,
მარგალიტი, ლალი ხარობს,
ზედ ეფრქვევა საკმეველი,
სხვა ასეთი სადღა ვნახო?!

ნისლებს ნაწოლს ქარაფებზე
კანჯარი და ჯიხვი ყვარობს,
აღარ ვფიქრობ არაფერზე,
სხვა ასეთი სადღა ვნახო?!

როცა ზღვათა სილურჯეებს
უერთდება თვალნი ცისა,
აღარ ვითვლი სადაგ დღეებს,
მოიმედე მომავლისა.

სოფლის სახლებს ბოლი ასდის,
ქალს უჭირავს ხელში ქვიჯა,
ამ ამინდებს ცელქი მარტის
სუნი უდის წინაპრისა.

ხელი ხელს თუ არ მივეცით,
საქართველო დარჩეს ვიღას,
მწარე თაფლს თუ ვსვამთ იელის,
რა შეგვრჩება მყოფადს მიღმა?!

ქალი მოდიოდა ხიდზე

ქალი მოდიოდა ხიდზე,
აღიმართა ნათლის სვეტად,
ვარდი უმშვენებდა თითებს,
შენ თუ ხარო, ვუთხარ: დედა.

ბროლის ყელი, ბროლის სახე,
უბრწყინავდა თოვლზე მეტად,
ვარდი დაეფინა პირზე,
შენ თუ ხარო, ვუთხარ: დედა!

ვეამბორე იმის თითებს,
თითო-თითოს, მერე ერთად,
თვალები რომ მომანათა,
შენა ხარო, ვუთხარ: დედა!

მოდიოდა ხიდზე ქალი,
აღიმართა ნათლის სვეტად,
ის წავიდა, მე კი დავრჩი,
დაბნეული მასზე მეტად.

ერთ დღესაც!

ერთ დღესაც ჩამოეშვება
ამაოების ფარდა...
იქ იმ დროს არვინ იქნება
ჩვენი და უფლის გარდა.

რატომ ვცოდეთ და რაგვარად,
რა იყო ამის ფასი,
არამი ლუკმა შევირგეთ,
შეზავებული ფარსით.

განკითხვის დღე დაგვიდგება,
ალბათ, ადრე თუ გვიან,
რატომ გავიქრეთ გულიდან,
სიყვარული რომ ჰქვია?!

ფიქრია ჩხიტუნიძე

ვნერ ვინმე მესხი მელექსე...

რა ძალა გქონდა ნეტავ ასეთი,
როგორ ჩამოგქნეს ლერწმის ღეროდან,
რომ შენი სულის ფაქიზ არილზე,
კაცი კი არა, ღმერთი მღეროდა!
რა გრძნობით გქარგა – ძგერა გულისა
რვა საუკუნეს როგორ გამოსცდა!
ეს მღერა იყო, თუ სიყვარულის
მარადიული დროის გამოცდა!
ნეტავ რომელი აკვნით გარწიეს,
შენს აკვანს ასე რა მადლი აცხე!
რომ უჭკნობი და გაუხუნები,
დაფნის გვირგვინი დაადგი სამცხეს!
როგორ გაუძელ რვა საუკუნეს,
ან რა უშრეტი ცეცხლი დაანთე,
რომ ქონგურებზე სამცხის ციხეთა
ყველა ვარსკვლავი ერთად აანთე!
დალოცე შენი აკვნის სამშობლო,
მეოხად ეყავ, ავი აცილე!
მე ისიც მყოფნის, შენი სისხლი ვარ
და დამაქვს გული, შენი საწილე!
რას ჩურჩულებდნენ ის ტალანები...
ვარდი შენს სარკმელს
თავს რომ ახლიდა?...
მისთვის კვდებოდი, სიყვარულისთვის
გაჩენილიყავ ისევ ახლიდან!

მესხეთს

შენ ისევ აქ ხარ, ჩემში ხმიანობ,
რა მყარად, რა ღრმად გაგიდგამს ფესვი!
დაწინდულია ჯვარნაცვამ ხატზე
მესხეთის მიწის ყოველი პეშვი...
ყოველთვის, როცა
სითეთრე ზამთრის
შაშვისნვერს სპეტაკს გაიშლის კილიკს,
კვლავ უცნაური ამოჩემებით
შენსკენ მოვყავარ ფიქრიან ბილიკს...
შენა ხარ ჩემი ხვალის იმედი,
შენა ხარ ჩემი ლაღი ოცნება –
საოცარია, ასე ძალუმად
მზე შენს ზეცაზე რად იკოცნება...
დღემდე ლოცვით და
რწმენით გატარე,
შოთას, თამარის
სისხლის ყივილო,
შენ ჩემი გულის მფეთქავო ძარღვო,
მოურეველო სულის ტკივილო!
ავგაროზივით მაძლიერებდი,
ვფიცავ ვარძიას,ზარზმას და
ჩორჩანს,
რომ შენი ტკბილი სანახებიდან
სამყარო უფრო ლამაზად მოსჩანს!
თუ ვინმე სადმე
მადლიანს გეტყვის,
იქ ერთი სიტყვა მეც მათქმევინე,
მცირე თუ დიდი,
მყოფადის ბურჯზე
ერთი აგური დამადებინე!
და მერე, თუკი მიმუხთლებს ბედი,
თუ მომინელებს საწუთრო ავი,
მომეცი ნება, გემთხვიო კალთას,
ნაავდრალ მკერდზე
მოგაყრდნო თავი!

ოქროს ციხეს

დღეს მე ამ ციხის ვარ დედოფალი,
ჟამსაცდენილი მგზავრი გვიანი...
მე მოგიჩითე ჩოხის კალთანი,
მე დაგაბნიე მკერდზე იანი!

ეს მე გიმღერდი ლერწმის აკვანთან,
შენს სულის ცაზე ბორჯღალს ვქარგავდი...
მზე შეგისახლე...მუდამ ვიცოდი,
მზეს არასოდეს არ დაკარგავდი!

მე და ვარ შენი, დედა ვარ შენი!
ცრემლით დავლამბე დარდის წყვდიადი...
მე გამოგკვეთე ქვაში ქვაკაცი,
ასე ამაყი,ასე დიადი!

ეს მე აგიგე რწმენის ტაძარი
და ყველა ცრემლი მძივად ავკინძე...
ეს მე მოვხატე ჯვრით და ჩიტებით
შენი პერანგის ლურჯი საკინძე!

დღეს ოქროსციხის ვარ დედოფალი,
შენი სისხლი ვარ, ხორცის ნათალი...
შენს სამსხვერპლოზე ჩემი გული დევს,
დედის გულივით ალალ-მართალი!

შაშვი...

რაში სჭირდება ოქრო და ვერცხლი,
ან სრა-სასახლე,მდიდრული ვილა...
წიფლის წვეროდან ბეჯითად შაშვი
ღვთის სამადლობელს
აღავლენს დილას!

რა ვუყოთ, თუკი მის თავზე ქარმა
ღრუბელთა რემა ავდრად მოდენა...
კვლავ დაიფარავს გამჩენის მადლი
და რწმენა – მდოგვის მარცვლისოდენა!

ძაღლი

არც ერთგულების არ იცის ზღვარი,
არ ითვლის ლუკმას –
მწირსა და მსუყეს...
დგას ალაყაფთან გუშაგი ღამის
და მარტოობის ხვაშიადს უყეფს!

როგორც კი სარკმელს
გადახსნის დილა,
მოირბენს ზღურბლთან ისეთი წრფელი,
შეიპატიჟო, გინდება, შინა,
რომ ჩამოართვა კაცივით ხელი!

***

დაბერდა კაბა, დედის ნაქონი,
და საკიდარზე მხრები დახარა...
ვინ მოიგონა კაბის ნაოჭი,
ვის გაუგია კაბის ჭაღარა!...

და როცა კაბას გავამზეურებ
(არ მინდა ფიქრი დარდს რომ გავყარო),
იმ დღეს წყალობას იღებს უფალი,
დედის თვალებით მიცქერს სამყარო...

დედას

მე მაინც შენს ჭიშკარს მოვადექ,
ო, ბედმა რა გზით არ მატარა!
მიყურებ საფლავის ბორცვიდან
მშობელი ათი წლით პატარა!

ათი წლით უმცროსო დედიკო!
ნეტავი, ეს სახე გენახა...
აქ, ბუჩქზე ჩიტი რომ შესახლდა,
სულ რატომ მგონია, შენა ხარ?..

სად გინდა გაექცე ამ ნაღველს,
არა მაქვს ასაკის ატანა!
მე – შენზე ათი წლით უფროსი,
შენ – ჩემზე ათი წლით პატარა!

***

დგას მშობლიური სახლის ზღურბლთან
მოხუცი მამა,
და აპრილს აქეთ დანაპირებს
ერთგულად ელის,

რომ ჩავუტანო ქალაქიდან
(ზამთრამდე ალბათ),
მაინც და მაინც (ჰო, ჯიუტად)
წინდები ჭრელი!

რატომ ჭრელიო, ღმერთო ჩემო,
რად მთხოვა ასე?
შალის ფაჩუჩზე
პეპლებსა და ყვავილებს ვუმზერ...
იქნებ იმიტომ – მკაცრი ზამთრის
სუსხიან ღამეს,
ცოტაოდენი გაზაფხული
მოეცვა სულზე...

***

ამბობენ კაცნი – უფალი დაგვწერს,
ვიქნებით ის, რაც დავრჩებით მერე...
მადლობელი ვარ, უფალო, რადგან
სულ ცეცხლითა და
ქარიშხლით მწერე...

მადლობელი ვარ, რომ
დამშრალ სულში
კვლავაც ბეჯითად ანთე მთიები,
რომ მომეც თმენა,
რომ მომეც ძალა
წყენის მორევის და პატიების!

მადლობელი ვარ,
რომ არ მძულს არვინ,
რომ მადლს ეძებენ ჩემი ხელები,
რომ მომეც ფუნჯი – ჩემს ცაზე თავად
მეხატა მზე და ცისარტყელები...

რომ სასწაულით და სასოებით,
ახლო მამყოფე საუფლო კართან,
რომ ბოღმის ნაცვლად,
ვარსკვლავთა ხომლით,
სავსეა ჩემი სამოსის კალთა!

უკანასკნელი ფოთოლი

ცა დარდიანობს...
ხვალ თუ ზეგ მოთოვს,
ქრის ქარი –
მეტი რა იცის ქარმა...
ნეკერჩხლის ფოთოლს,
ფარფატა ფოთოლს
შეუბრალებლად
გამოსდო სარმა...

ფოთოლს კი ვხედავ,
სიკვდილი არ სურს,
განაგდოს უნდა
მეკობრე ავი,
ნეკერჩხლის ფაქიზ,
ნარნარა ასულს
მქრქალ ყუნწზე
ძლივსღა უჭირავს თავი...

ქარი კი, ურცხვი,
ასპარეზს არ თმობს
ყოველი მხრიდან
უტევს... ერევა...
უგულოს სხვისი
ტკივილი ართობს
და მიაქვს
სხვისი ბედნიერება...

ასე თუ ისე –
ფოთოლი მხრებს შლის
შორს რჩება მიწა...
ცრემლი...წვალება...
ლამაზად კვდება...
თუ შეიძლება
ლამაზი ერქვას
გარდაცვალებას...

ბრალი მას, ვისაც
შხამ-გესლი დააქვს,
საქმით ვამტკიცოთ
უნდა ღვთისობა...
სასაყვედურო
სუსტ ფოთოლს რა აქვს –
თან მიაქვს
მთელი მარადისობა!

***

კვლავაც მირკანია...
ჟამთა სამრეკლოდან
მესმა დაძახება შენი შორეული...
კვირტთა ქარავანი
მოდრკა აფეთქებად,
ტოკავდა ალუჩა გრძნობამორეული...
ერდოზე კმაყოფილი
ვიდოდა ხატაურა,
ძალი უჩინარი მდელოებს ქარგავდა,
ღელეებს ანთებოდა
სიგიჟის ნაპერწკალი--
არავინ, არავინ
თავის თავს
არ ჰგავდა...

***

შენ არ გინახავს
ოშკი და ბანა,
ტკბილი ხახული –
თვალებხატულა...

ლოცვად რომ დგანან,
მუხლებმოყრილნი,
სივრცეში სევდად
რომ ჩაკარგულან...

რარიგ ვაებენ,
რარიგ გოდებენ,
სვეთა სიავეს,
ჟამთა საპყართა...
ამოვარდება ქარი – მსტოვარი,
დაუნდობელი
და უსახლკარო!

შეერკინება ბრაზმორეული
ასე ეულებს,
ასე მარტოებს...
ბოლოს ჩაცხრება
და, ბრალეული,
ქართლის მოკითხვას
კუშტად დატოვებს...

ნოსტალგია

შაშვისწვერზე მუდამ სძინავთ გაზაფხულებს –
აქ ზამთარი ვერ ელევა თეთრ მანტიას...
თრიალეთზე ქარებს – ავდრის მაყრიონებს
ქულა ღრუბლის – ცელქი ფარა დაფანტვიათ...

გავიღვიძებ, უცხო ქვეყნის განთიადი,
სულგათოშილს ტკივილამდე გამაციებს,
და ბარბაცით,
კვლავ უმწეო შთაგონებით,
ვეხუტები ჩვენი ეზოს აკაციებს...

იქ სხვაგვარად ათენებენ ტოროლები,
დილის ნიავს ფიქრი სევდად აჰყოლია...
დარიალის პეშვ მიწაზე ახლობელი
ქვეყანაზე თურმე მართლა არ მყოლია!

შაშვისწვერზე ისევ სძინავთ გაზაფხულებს –
აქ ზამთარი ვერ ელევა თეთრ მანტიას,
თრიალეთზე ქარებს – ავდრის მაყრიონებს,
ქულა ღრუბლის ცელქი ფარა დაფანტვიათ...

ჯერ იყო სიტყვა

ჯერ იყო სიტყვა...
ლაჟვარდთა ხავერდს
სული-პეპელა ვაწვიე ნებსით...
და ჩემთვის, ჩუმად, როგორც თილისმა,
მკერდით, გულივით, დამქონდა ლექსი..

და სულ გულივით ფეთქავდა იგი,
ლექსით ვილხენდი,
ლექსით მტკიოდა...
ლექსით ვუთბობდი
უსუსურ სხეულს,
საწუთისოფლო ფიქრს თუ სციოდა...

მადლობის მეტი რა მეთქმის, აბა,
ვინც ამ სიტყვის წილ
მადლი მარგუნეთ,
მე მაპატიეთ, თუკი კარამდე
ლექსით გულებზე მოგიკაკუნეთ...

რა მექნა – ლექსი მებადა მხოლოდ,
როგორც მოწყალე უფლის ნუგეში...
და მოკრძალებით დახრილი თავი
ფაქიზად მედო იის უბეში...

ჯერ იყო სიტყვა, თუ მადლი იყო,
ყოფა ასე რომ გაამზიურა,
რომ ჩემი სულის ტკბილი ჩიტები
ზეცას კენკავენ ყოველდღიურად...

გაიღიმე!

თუ ცხოვრებამ უამური გზით გატარა,
თუ დარდია შენი გულის მეინახე –
გაიღიმე – ხვაშიადი უსახური
ღიმილს მიღმა შეინახე!

თუ ცდილობ და
არასოდეს არ გიმართლებს,
უიღბლობა დაგებედა, ე ტიალი,
გაიღიმე-
ათასჯერ სჯობს ცრემლს და ვიშვიშს –
ღიმილს მიღმა ხეტიალი!

თუ საწუთრომ ტკივილებით გაგაჯერა,
თუ მოგარგო ხასიათი ყრუ და ქუში –
გაიღიმე!..და ღიმილის ათინათი
იმ წყვდიადშიც შემოუშვი!

სხვა რა გზაა – მოქუფრული ამბიონი,
თუ წუწუნით არასოდეს განათდება,
არასოდეს შეაჩვენო შენი ყოფა,
არ გადასცე ანათემას!

იყავ მარად სასწაულის მოიმედე,
გულწრფელი და გულალალი
როგორც ჩვილი...
დამიჯერე – დარდიანიც, უდარდელიც –
ლამაზია ეს სამყარო, დალოცვილი!

მერე რა, თუ სხვის ქუჩაზე
მზე ანათებს,
შენს კერაზე
სულ წვიმა და სულ თოვლია...
გაიღიმე...მერე არ თქვა, იყავი და,
იყავი და არასოდეს გიცხოვრია!

***

შემოგეპარა ხმაში ბზარი და
მზერაში ნისლი, ჩემო თოლია...
და უჩვეულო გულაჩვილებით
წარსულის ჩრდილმა აგიყოლია.
ეჰე-ჰე-ჰეი! უჟმურს დააფრთხობ...
და წარმოსახვის ბილიკს მიჰყვები,
იქ, მშობლიური სახლის ალაყაფს
კვლავ დარაჯობენ ცელქი ციყვები...
ხელუხლებია სულ ყველაფერი,
წინკართან გელის,
ვით ღვთის წყალობა –
ის მოლაღური, ასე ერთგულად
შენს ყმაწვილობას რომ უგალობა!
გახსოვს? მტირალა შენი თოჯინა,
კომში სარკმელთან, ბაღში კეხურა...
და ...დარდი, დღემდე მოურეველი –
თოვლში სიცივით მკვდარი ბელურა...
და უცებ ხვდები, რომ არა იყო,
არც არა იყო ტკბილი ამაზე,
რომ ჩვენი ყოფა მხოლოდ ბავშვობამ
გააფერადა ამ ქვეყანაზე!

„ვეფხისტყაოსანი“ – როგორც შუასაუკუნოებრივი მსოფლგანცდისა

შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ არის არა მხოლოდ ქართული, არამედ კაცობრიული ისტორიის მხატვრულ-ესთეტიკური ხედვისა და ფილოსოფიური აზროვნების ერთ-ერთი მაღალი მწვერვალი. „ვეფხისტყაოსანში“ ჩანს კვალი ღრმა განსწავლულობისა ანტიკურ ფილოსოფიასა და მწერლობაში. იგრძნობა, რომ ავტორი საფუძვლიანად იცნობდა დიდ დასავლურ და აღმოსავლურ ლიტერატურას. ყოველივე ეს და ასევე პოეტის განსწავლულობა ასტრონომიაში, ასტროლოგიაში, გეოგრაფიაში, მედიცინაში, ფილოსოფიაში, სამართალში, ისტორიაში, სამხედრო საქმეში და სხვა ასახულია პოემაში.

მიუხედავად იმისა, რომ „ვეფხისტყაოსანი” ქართველი ხალხის უმაღლესი სიყვარულის საგანია, სამწუხაროდ, ძალიან ცოტა ვიცით მისი ავტორის შესახებ. ეს იმიტომ რომ რუსთაველმა გაიზიარა სხვა დიდი კულტურის მქონე ერების, უპირველეს, გენიოსთა ბედი. დღემდე დაუდგენელია საბერძნეთში ჰომეროსის ბურუსით მოცული ბიოგრაფია. ასევე ლეგენდებშია გახვეული „შაჰ-ნამეს” ავტორის, გენიალური ფირდოუსის სახელი. მსოფლიო ისტორიაში ბევრს მოიძევთ მსგავს მაგალითებს. მიზეზი რუსთაველის ზუსტი ბიოგრაფიის დაუდგენლობისა, არის საქართველოს ბედუკუღმართობა, ის, რომ სამხრეთ საქართველოში – ისტორიული მესხეთში, სადაც ეს ხელთუქმნელი ლიტერატურული განძი შეიქმნა, განუწყვეტელი ომების დროს უმოწყალოდ ნადგურდებოდა ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლები.

„ვეფხისტყაოსნის” ენა წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს ძველ და ახალ ქართულ ენას შორის; მასში მოიპოვება როგორც ძველი, ისე ახალი, ქართულისათვის დამახასიათებელი ნიშნები. „ვეფხისტყაოსნის“ ენა განსხვავებულია როგორც წინადროული, ისე მისდროინდელი საეკლესიო მწიგნობრული ქართული ენისაგან, იგი უფრო მეტად ახლოსაა ხალხის სამეტყველო ენასთან. ამ განსხვავების გამო მას პირობითად „ვეფხისტყაოსნის ქართულსაც„’ უწოდებენ. ქართველოლოგთა აღნიშვნით, „ვეფხისტყაოსანი“ მნიშვნელოვანი დოკუმენტია საშუალი ქართულის საერო მეტყველების შესასწავლად. „ვეფხისტყაოსნის” ენისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ის, რომ აქ ერთმანეთის გვერდით გვხვდება ერთი და იმავე სიტყვის როგორც ახალი, ისე ძველი ფორმები. არნოლდ ჩიქობავამ დაასაბუთა, რომ „ვეფხისტყაოსანში” შეინიშნება დიალექტიზმები, როგორც დასავლური, ისე აღმოსავლური, თუმცა, მისივე თქმით, ეს დიალექტიზმები ავტორისეული არაა და ეს, ზოგადად, იმდროინდელი სალიტერატურო ენის თვისება იყო. „ვეფხისტყაოსნის” ქართულს, ძველი ენისაგან განსხვავებით, ახასიათებს მიდრეკილება სინტაქსური სიახლისა და სიმარტივისადმი. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის ახალი ხმარების წესი პოემაში. მიუხედავად ამ სიახლეებისა, რუსთაველის ენა ინარჩუნებს ძველ წესებსაც, ძველი და ახალი ფორმები მის პოემაში პარალელური ფორმების სახით გვხვდება, – „ვეფხისტყაოსნის” მხატვრული ენა გამოირჩევა ე. წ. დარბაისლური მონუმენტური სტილით. პოეტი ხშირად იყენებს ისეთ მხატვრულ ხერხებს, როგორიცაა მეტაფორა, შედარება, გამეორება, ალიტერაცია, ბუნების აღწერები და სხვა. რუსთაველის ენისათვის დამახასიათებელია აფორიზმების სიმრავლე. „ვეფხისტყაოსანში” მეტაფორები იმდენად უხვადაა, რომ პოემის მხატვრული ენის სტილად ხშირად სწორედ მეტაფორულობას თვლიან. აზრის გამოხატვის მეტაფორული ხერხი „ვეფხისტყაოსანში” უმთავრესი მხატვრული ხერხი–რიტმიკის თვალსაზრისითაც რომ მკითხველისათვის თხრობა მონოტონური არ იყოს, რუსთაველი იყენებს აღმავალ და დაღმავალ შაირს, ანუ გამოყენებულია დაბალი, ანუ გრძელი შაირი და მაღალი, ანუ მოკლე შაირი. შაირის ორივე სახე თექვსმეტ მარცვალს შეიცავს, განსხვავება მხოლოდ მათ რიტმულ წყობაშია. აღსანიშნავია, რომ ნაწარმოები შექმნილია „ოქროს კვეთის„’ პრინციპით.

ნახ. გიორგი გეგეჭკორისა

მსოფლიოში აღიარებულ ცნობილ რუსთველოლოგთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ თითქმის საუკუნენახევრით უსწრებს ევროპულ რენესანსს. საქართველო, რომელიც პოეტის სამშობლოა, გეოგრაფიულად იმყოფება აზიისა და ევროპის გზაგასაყარზე, სადაც ისტორიულად ყოველთვის ხდებოდა ორი კულტურის, – აღმოსავლურისა და დასავლურის მშვიდობიანი თანაარსებობა. „ვეფხისტყაოსანში“ წარმოჩენილია – ერთის მხრივ აღმოსავლური მხატვრულ-ესთეტიკური ფორმა და მეორე მხრივ დასავლური ფილოსოფიის ახალი მხატვრული გააზრება. იმდენად დიდი, მრავალფეროვანი და ამოუწურავია „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ-ფილოსოფიური სამყარო, რომ ცალკე სამეცნიერი დარგი შეიქმნა – რუსთველოლოგია. ამ დარგის ისტორია სამ საუკუნეზე მეტს მითვლის. 1712 წელს საქართველოს მეფე ვახტანგ VI-მ თბილისში, მის მიერვე დაარსებულ პირველ ქართულ სტამბაში „სახარებასთან“ ერთად „ვეფხისტყაოსანი“ დაბეჭდა. თანდართული კომენტარებითა და ანალიზით. სწორედ ეს დღე ითვლება რუსთველოგიური მეცნიერების საწყისად. იმ დღიდან მოყოლებული რუსთველოლოგიური საკითხების კვლევისას შეიქმნა დიდძალი სამეცნიერო ლიტერატურა, დაახლოებით 7000-მდე ბიბლიოგრაფიული ერთეული, რომლებშიც შესანავლილია რუსთველოლოგიური პრობლემატიკის კარდინალური საკითხები. შედეგად სრულად წარმოჩნდა „ვეფხისტყაოსანი“ – „ოქროს ხანის“ ქართული ლიტერატურული ენა, ეროვნული ენა, ენა, – „ეროვნული ენა, ენა, – „ეროვნული ენა, ენა, – „

და რენესანსული აზროვნების სინთეზი

ტანისა,
შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე
სატანისა,
მომეც მიჯნურთა სურვილი, სიკვდიდმდე
გასატანისა,
ცოდვათა შესუბუქება, მუნ თანა წასატანისა.

მიუხედავად იმისა, რომ უამრავი მკვლევარის ხანგძლივი ძიებისა „ვეფხისტყაოსანში“ არ იქნა მოძიებული სამების კვალი. ვფიქრობთ, რომ უმნიშვნელოვანესი გახლავთ რუსთველოლოგიურ სიტყვათა ერთობა ,,ერთარსებისას ერთისა“. ერთი რამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რაზედაც კორნელი კეკელიძე ასკვნის, რომ ეს გულისხმობს სწორედ სამებას. თუმცა აღსანიშნავია, რომ ისლამიც აღიარებს ერთარსებას, ამდენად, ეს როგორც რელიგიურად, ასევე ზოგად მსოფლმხედველობით პლანში, უფრო ზოგადი, ყოვლისმომცველი ცნებაა. რუსთველოლოგისა და ფილოსოფოსის შალვა ხიდაშელის აზრით, აქ ერთ-არსება გულისხმობს სიმრავლეს და არა სამს. უნდა ითქვას, რუსთაველი ერთ-ერთი ადრეული და ერთ-ერთი უდიდესი ჰუმანისტია საკაცობრიო ისტორიის უგრძეს მონაკვეთზე. ეს არის სწორედ რენესანსის ეპოქის ჰუმანიზმი. დუალისტურ ხასიათს იღებდა შუა საუკენეობრივი სააზროვნო სივრცე. შალვა ნუცუბიძეს აუცილებლობად მიაჩნდა დუალიზმის დაძლევის პრობლემა. ამასთან დაკავშირებით აცხადებდა: რუსთაველი არსად არ უშვებს კავშირის გაწყვეტას ზეცასა, როგორც ამაღლებულის, ბედნიერებისა და სიყვარულის სიმბოლოს, და მიწას, როგორც რეალური ხორციელი ადამიანისათვის, რეალურ ქვეყანაზე ამ ბედნიერების, სიყვარულისა და ნეტარების სიმბოლოს. სწორედ ამ

სინთეზში, ამ ერთიანობაშია რუსთაველის მიერ ამქვეყნიურ სიკეთეთა პოეტური ხორცშესხმის სიდიადე.“ ამასთან დაკავშირებით ცნობილი ინგლისელი მკვლევარი მორის ბოურა წერს: ,,ვეფხისტყაოსნის” გმირები ყველაზე უწინარეს, ადამიანები არიან,, ,,ზოგადად ადამიანის ბუნების მიხედვით შექმნილნი და აგებულნი. ხოლო პოემა მთლიანად წარმოადგენს ფსიქოლოგიური, ესთეტიკური, ეთიკური და ფილოსოფიური შესწავლის საგანს.”

,,ვეფხისტყაოსანი”, ზურაბ ავალიშვილის დაკვირვებით, არის ,,მზიანი პოემა”. აქ მზე წარმოდგენილია როგორც აბსოლიტური ძალა, ადამიანის ბედის უმაღლესი გამგებელი.

,,ჰე, მზეო, ვის ხატად ღმრთისად გიტყვიან
ფილოსოფოსნი წინანი“.

ან

,,აჰა, მზეო, გეაჯები, შენ, უმძლესთა
მძლეთა მძლესა“.

შალვა ხიდაშელის დაკვირვებით, ეს ის შემთხვევაა, როცა მიქელ მოდრეკილის ერთ საგალობელში გამოთქმული შეხედულება ღმერთზე, როგორც ,,მდაბალთა აღმაღლებელზე და მაღალთა მფლობელზე“, რუსთაველს გადააქვს მზეზე.

აგიოგრაფიის ასკეტური მორალი უცხოა რუსთაველისადმი, მისი პერსონაჟები, მიწიერი, ადამიანური ვნებებით ცხოვრობენ. მათი მიზანი ამქვეყნიური ბედნიერების მიღწევაა. ფასი აქვს წუთისოფელში ადამიანის მოვლინებასა და არსებობას, გარკვეულ სიბრძნესთან ასოცირდება სოფლის სიყვარული.

ადამიანის მიზანმიმართება, გონიერი პრაგმატიზმი, ენერგიულობა და შეუდრეკლობა ხიფათის წინაშე, რუსთაველისათვის სრულყოფილი ადამიანის იდეალია. ,,არა ვიქმ ცოდნა რას მარგებს, ფილოსოფოსთა ბრძნობისა“.

მაგრამ, ამავე დროს, ყოველივე ეს სრულებითაც არ გამორიცხავს ზენაარსის, ღვთის ანუ განგების ჩარევას რუსთაველის პერსონაჟების, ზოგადად ადამიანის ცხოვრებაში. ,,ვეფხისტყაოსანში” ეს მომენტები საგანგებოდ არის ხაზგასმული. *„ღმერთო, გეაჯები“ (813).*

,,ვთქვი თუ ,,ღმერთო, ნუ გამწირავ, აჯა
ჩემი შეისმინე“.(357)
,,თქვა, ღმერთო, გმადლობთ...“ (1250).
ღმერთო, ღმერთო, მონყალეო...“ (813)

განგებულება ღვთისა და ადამიანის მიზანმისწრაფება რეალურ ცხოვრებაში ანუ მინისა და ცის დუალიზმი შუა საუკუნეების მსოფლმხედველობისათვის დაუძლეველი პრობლემაა. რუსთაველმა თავის სრულიად ახალი მსოფლმხედველობითი სისტემით, გაუსწრო შუა საუკუნეებრივ აზროვნებას, და ეს იმ პერიოდისათვის გადაუჭრელი პრობლემა დასძლია. ,,ვეფხისტყაოსანში“ ადამიანის მიზანსწრაფულობა რეალურ ცხოვრებაში, არჩევანის თავისუფლება და ღვთის განგებულობა, ერთმანეთთან სრულ ერთიანობასა და თანხვედრაშია.

რენესანსი კი არის ლოსევის მართებული დაკვირვებით, ,,სწორედ მიწიერი ადამიანის ცდა, განამტკიცოს თავის სწორედ მიწიერი არსებობა“. „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა სამოქმედო არეალი სრულ თანხვედრაშია, ლოსევის მიერ რენესანსის განმარტების ამ ფორმულირებასთან. ამავე დროს, ვიმეორებთ ღვთის განგებულობის ნებას ადამიანის ცხოვრებაში ამავე პერსონაჟებისათვის, მათი ქრისტიანული მსოფლმხედველობისათვის სრულიად ბუნებრივი და ნაცნობია. სწორედ აქ იკვეთება რუსთაველთან ქრისტიანული მსოფლგანცდა და რენესანსული იდეალები. ჩვენ წინსწრებით ვსაუბრობდით ნეოპლატონიზმზე, რაც, ჩვენი აზრით, ერთდროულად არის რელიგიურ-ფილოსოფიური მსოფლმხედველობა, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ხვდებოდა მიწიერის გაღვთაებრიობის ფილოსოფიურ თეზად, საყრდენად აღიარება. ჩვენი აზრით ცდება ყველა ის მკვლევარი, ვინც წარმოაჩენს რუსთაველის რელიგიურ მსოფლმხედველობასა და ფილოსოფიურ მსოფლაღქმასთან დაპირისპირებას. ღმერთის ცნება, რუსთაველისათვის ისევე, როგორც მთელი შუა საუკუნეობრივი აზროვნებისათვის ცენტრალური კარდინალური თემაა. პოემაში გვხვდება როგორც აპოფატიკური, რომელიც განიხილავს ღმრთის ტრანსცენდენტულობას, როგორც სრულიად გამოუთქმელს, ისე, რომ არც ერთ სახელს ან განსაზღვრებას არ ძალუძს მისი თუნდაც ანალოგიური აღწერა და კატაფატიკური, ანუ კატაფატიკა ამტკიცებს, რომ ღმერთი არის ბრძენი, ყოვლისმცოდნე, ყოვლადძლიერი, წმიდა, მართალი, სიყვარული, სიკეთე და სხვ. წმ. მაქსიმე აღმსარებლის სიტყვით, ღმრთის ქმნილებებსა და მსოფლიო განგებულებაში, როგორც სარკეში, ჩანს უსაზღვრო სიკეთე, სიბრძნე და ძალა ღმრთებისა. ღმრთის ამ გამოცხადებას ნვდება ჩვენი გონება და ნაწილობრივ მის საიდუმლო შინაარსსაც იგებს. შექმნილ არსებათა ყოფიერების აზრსა და საიდუმლოში შეღწევით მათი შემოქმედის ჭვრეტაც შესაძლებელი ხდება. კატაფატიკის მწვერვალზე, ზღვარზე საიდუმლო (აპოფატიკური) ღმრთისმეტყველებისა, სუფევს უდიდესი საიდუმლო წმიდა სამების ყოფიერებისა. მოღვაწეთა მიერ ეს საიდუმლო სულიერად განიცდება როგორც სამბრწყინვალე ნათლით გაცისკროვნება და როგორც „დაუვიწყარი ხილვა“, რომელიც მათ ღმრთის შემეცნებასთან უშუალოდ აახლოებს. მოვიყვანთ ორივე მოსაზრებების მაგალითებს:

,,უცნაურო და უთქმელო, უფლება
უფლებათაო“.
,,ილოცავს, იტყვის მაღალო, ღმერთო
ხმელთა და ცათაო“.
,,შენ ხარ საკსება ყოველთა, აგვავსებ
მზეებრ ფენითა.
,,თქვა, ღმერთო, გმადლობ, რომელი
ხარ ჭირთა მომალხენელი“.

კატაფატიკურ ცოდნას თითქოს უარყოფს აპოფატიკური ცოდნა. ანუ ღვთის რაციონალური ცოდნა უარყოფილია ღვთის განგებულების შეუცნობადობით. ფსევდო დიონისე არეოპაგელი, ზოგიერთი მკლევრის დასაბუთებული მოსაზრებით, იგივე პეტრე იბერი, მიდის იმ დასკვნამდე, რომ *,,ზესთა არსება, ზესთა ღმერთი“* სცილდება რაციონალურ ცოდნას. ხოლო ოქსიმორონის ,,მზიანი ღამის“ მეტაფორული განმარტება ნიშნავს, კატაფატიკური გზით, მიღებული ცოდნის, ანუ ნათელის აპოფატიკური ცოდნის გაურკვეველი, ბნელის, უმეცრების შენივთებას. ანუ ნათელი ცოდნა უმეცრების სიბნელეშია გახვეული. როგორც მოხმობილი მაგალითებიდან ჩანს, აქ ხდება დაპირისპირებულ ცნებათა ერთიანობა. ტერმინში *,,არ ნათლად ნათელი“.* ასევე ხდება, პერსონაჟ ნესტანის სახის ჩვენებით ორი სრულიად განსხვავებული სუბტანციის, დიდი კეთილი ენერგიისა და უარყოფითი, იმპულსური ვნებების თანაარსებობა.

ის, რაც ქრისტიანობიდან აიღო რუსთაველმა, არის ის, რომ განადიდოს ტანჯული ადამიანი, მოახდინოს მისი ესთეტიზაცია, ხოლო რასაც ჩვენ ,,ვეფხისტყაოსანში” ვერ ვხვდებით, რა ხაზიც ქრისტიანობიდან არ გააგრძელა თავის ნაწარმოებში რუსთაველმა, ეს არის ცოდვისა და მონანიების იდეა. ეს იდეა გახლდათ უმთავრესი იდეა შუა საუკუნეობრივი რელიგიური განცდისა. იმ პერიოდის საერო ნაწარმოებებშიც დომინირებს ცოდვისა და მონანიების არსის განცდა, მაგალითისათვის რუსთაველის თანამედროვე დიდი მწერლის ვოლფრამ ფონ ეშენბახის სარაინდო რომანის ,,პარციფალის” დასახელებაც კმარა.. ცოდვისა და მონანიების იდეა, რუსთაველთან ტრანსფორმირდება მოყვასისადმი თანაღმობისა და მისი საწუხარის თანაზიარობის იდეაში. რუსთაველი ასეთი იდეური მსოფმხედველობით შორდება შუა საუკუნეების მსოფლგანცდას და უერთდება რენესანსულ იდეოლოგიას.

კვლავ ომმივე ჩაბმა საყვარელი ქალის, ბრიზეიდას დაკარგვა-დაბრუნებას უკავშირდება. შოთა რუსთაველი – რენესანსული უნივერსალური ინდივიდუალიზმის განსახიერებაა. *„დაკარგვა-ძებნა-პოვნის“.*

და ბოლოს, რენესანსის მსოფლმხედველობისთვის თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ნეოპლატონურ ფილოსოფიას. ბურკჰარდტის გამოკვლევის თანახმად, ლაიტმოტივად გასდევს ინდივიდის პრობლემა, კერძოდ, მისი ვესიტყვებით თუ ვიტყვით - „ადამიანის აღმოჩენა“, სადაც ხაზგასმულია ადამიანის შინაგანი ბუნება პოეზიაში, ბიოგრაფიებსა და ავტობიოგრაფიებში. ჟანრულ ლიტერატურაში კი საუბარია ადამიანის გარეგნულ გამოხატვაზე სხვადასხვა ავტორთან და ა.შ. მოკლედ, ყველაფერი მიმართულია იმისკენ, რომ ადამიანი წარმოჩნდეს თავისი ინდივიდუალურობით. ამასთან საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია პლატონის ფილოსოფიისა და ნეოპლატონიზმის მნიშნელობა შუა საუკუნეების კულტურისთვის, განსაკუთრებით ჰუმანიზმისა და რენესანსისთვის. რენესანსი, უპირველეს ყოვლისა, ადამიანური პერსონის განდიდებაა. „ხელოვნებისა და ესთეტიკის ისტორიაში არ არსებობდა მეორე ისეთი ეპოქა, რომელიც ისე იქნებოდა დარწმუნებული ადამიანის პიროვნულ სიდიადეში, მის გრანდიოზულობასა და მშვენიერებაში, როგორც რანესანსი“ (ლოსევი 1978: 614). რუსთაველის რენესანსული იდეის გაგებისათვის მნიშვნელოვანი გამოკვლევაა შალვა ნუცუბიძის წიგნი – ,,რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“.

როგორც აღვნიშნეთ, ,,ვეფხისტყაოსნის" სამი მთავარი გმირი განასახირებს სამ საღვთისმეტყველო სათნოებას: ავთანდილი – სარწმუნოება, ფრიდონი – იმედი და ტარიელი – სიყვარული. ქრისტიანულ მოძღვრებაში პრიორიტეტი ამ სამთაგან სიყვარულს ენიჭება. ნესტანის დაკარგვასთან ერთად ტარიელი კარგავს სულიერ სამშობლოს – ინდოეთს და მკვიდრდება ,,უგემურ", ,,მქის" ქვეყანაში და ეძებს სატრფოს (ღმერთს). ტარიელი გაეცალა რა ნეგატიურ ძალებს, დამკვიდრდა კლდეებში ადამიანთაგან მოშორებით, მხეცთა შორის. მაგრამ განდეგილური ყოფა, ასკეტიზმი, იწვევს ცხოვრებისაგან უკიდურესი მოწყვეტის საფრთხეს, პოეტს ღვთაებასთან მიმართებაში ეპითეტი ,,მზიანი ღამე" მოჰყავს. აღნიშნული ადგილი განმარტა თეიმურაზ ბაგრატიონმა: *,,იტყვის, ჰე მზეო, ვინ ხატად გთქვის მზიანისა ღამისა"* – ღმერთი არის მზე დაუბადებელი და უნივთო, ნათელი, ხატი და სახე არს მზიანისა ღამისად, ესე იგი განმანათლებელი არს ღამისა, ე.ი. ღამე უმეცრებას ნიშნავს და მზე ნათელსა ცნობისა ღმრთისა.

რუსთაველი მიჯნურთა შეხვედრას მითოსურ-ასტროლოგიური სურათით წარმოგვიდგენს, სადაც მზე-ტარიელისა და მთვარე-ნესტანის შეყრით ბოროტების უარსობას, სიმოკლეს და სიკეთე - სიყვარულის *„ხან-ვრძლად გაკვლადებას“* საბოლოოდ ამოწმებს. ბოროტება – გველის დამარცხებისა და მზე-მთვარის – ნესტან-ტარიელის შეყრის მეტაფორული სურათი არაერთგზისაა ყურადღებული სამეცნიერო ლიტერატურაში. აღნიშნულია მისი მხატვრული და ასტროლოგიურ-მითოსური დატვირთვა *(ვ. ნოზაძე, ა. ბარამიძე, ე.ხინთიბიძე, რ. სირაძე, მ. მამაცაშვილი).*

რუსთველური მიჯნურობის უმთავრესი ატრიბუტია ცრემლი. ცრემლის გარეშე არ შეიძლება ჭეშმარიტი მიჯნურობა. ეკლესიის მამათა მოძღვრებაში ცრემლი სულიწმინდის მადლია, უდიდესი ფაქტორი სულიერი განწმენდისა. წმ. იოანე სინელის ,,კლემაქსის" („საანოებათა კიბის") მიხედვით, ცრემლის მადლი უტყუარი ნიშანია იმისა, რომ ადამიანის გული ქრისტიანული ღვთისმეტყველების მიხ ედვით ღვთისადმი სიყვარულით არის აღვსილი, კაცობრიობისთვის ღმერთი დაფარულია მას შემდეგ, რაც ცოდვით დაცემის შედეგად ადამიანმა დაკარგა სამოთხე, ღვთის ჭვრეტის უნარი. ამიტომ ღვთის არსი მიუწვდომელია, მისი ძიება მრავალ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. ადამიანისათვის ,,ვეფხისტყაოსანშიც" თავად ღვთის არსება გამხდარა საძებნელი, სანატრელია მისი კვლავ ხილვა, ,,ახლად ჩენა".საძებნელია პოემის მთავარი გმირი ქალი ნესტან-დარეჯანი თავისი მიჯნურისათვის, ტარიელისათვის. იგი დანთქმულია ბნელში, ქაჯეთში და განასახიერებს დაკარგულ სამოთხეს, ღვთაებრივ ცნობიერებას, სულიწმინდის მადლს, ცხოვრების ხეს, რომლის სიმბოლოა ედემის სარო, ალვა (კიპაროსი), რომელიც ერთ-ერთი უმთავრესი სახეა ,,ვეფხისტყაოსნის" ტროპიკაში.

ტარიელი მკვიდრობს ქვაბში. ზვიად გამსახურდიას დაკვირვებით, რაც სიმბოლოა მისტიური ჩაღრმავებისა, ცნობიერების სიღრმისა. მას აკვია ვეფხის ტყავი, სიმბოლო მისი სულიერი ძალმოსილებისა, ქვენა ბუნებაზე გამარჯვებისა, აგრეთვე ფირმამენტუმის მადლისა და ძალისა. ეს ქვაბი მან დევებს გამოსტაცა, რომელნიც ამოწყვიტა, აქვე იპოვნა საუნჯე და საჭურველი, რომლის საცავსაც 40 კარი ჰქონდა (საკრალური რიცხვი, სიმბოლო სივრცულ სამყაროში განწმენდისა), საუნჯე საყოველთაოდ გავრცელებული სიმბოლოა მისტერიალური სიბრძნისა და დასავლურ რაინდულ სახისმეტყველებაში გრაალს შეესაბამება.

ინდო-ხატაელთა დაპირისპირება „ვეფხისტყაოსანში“ არასგზით არ უნდა გავიგოთ, როგორც პოლიტიკური შუღლი ორ ქვეყანას შორის, ვინაიდან საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ,,ვეფხისტყაოსანში” მოთხრობილი ამბები ისტორიულ სინამდვილეს არ შეესაბამებიან. ,,ვეფხისტყაოსნის” ინდოეთი არ არის ისტორიული და გეოგრაფიული ინდოეთი, არც ხატაეთია ისტორიული ჩინეთი. ეს სიმბოლური ქვეყნებია (ჟერარ გარიტის მართებული შენიშვნით), ხოლო მათი ურთიერთდაპირისპირება არის ნათლის პლანის დაპირისპირება ბნელის საუფლოსთან, ისევე როგორც „შაჰ-ნამეში“ ერანისა და თურანის კონფლიქტი. ტარიელის ლაშქრობა ხატაეთში როდი უნდა გავიგოთ, როგორც პოლიტიკური, დაპყრობითი ომი, არამედ როგორც ღვთაებრივი, მზიური ძალების ბრძოლა ნათლის პლანის მეუფებისათვის, ბნელეთის დასამორჩილებლად (ბნელეთს ამ შემთხვევაში მონგოლური მოდგმა განასახიერებს, ისევე როგორც „შაჰ-ნამეში“ თურანული მოდგმა). ასეთივე ალეგორიული მნიშვნელობა აქვს არგონავტების ლაშქრობას, ჰერაკლესა და თეზეოსის ბრძოლებს ანტიურობაში, ხოლო შუასაუკუნეებში არტურის მრგვალი მაგიდის რაინდების, გრაალის რაინდების ბრძოლებს, რომელთა ახსნაც პოლიტიკური სარჩულით შეუძლებელია.

ქართული ცოდნა-განათლებისთვის „ყველაზე ნაყოფიერ ნიადაგს მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში ბერძნულ-ბიზანტიური კულტურა წარმოადგენდა“. ასევე მნიშვნელოვანია შუა საუკუნეების ქართული კულტურისათვის დამახასიათებელი ტენდენცია – მიმართება ანტიკურ ფილოსოფიასთან, როგორც თავის ერთ-ერთ მთავარ საყრდენთან; აგრეთვე, ორიენტაცია ნეოპლატონიზმზე, როგორც დასავლური, ისე, რაც მთავარია, ქართული რენესანსის ამოსავალ მსოფმმხედველობრივ საფუძველზე. ჰუმანისტურ-რენესანსული შეხედულებანი XII საუკუნის ქართული საერო მწერლობის ნიშანდობლივი მხარეა. შოთა რუსთაველის მიერ შექმნილი სამყაროს ცენტრში დგას ადამიანი. *„ყველაზე მნიშვნელოვანი იდეა, რაც ქართულ რენესანსში გამოიკვეთა, იყო სწორედ ადამიანი, რომელიც რუსთაველის აზრის, სახისა და მოტივის ყველა პლანის ძირითადი თემა“ (იმედაშვილი 1968: 189).* რუსთაველისათვის ადამიანი არის ამქვეყნად ყოველგვარ ღირებულებათა ამოსავალი და საზომი. ერთ ადამიანს, ერთ პიროვნებას, „ვეფხისტყაოსანში“ განუზომლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ერთი ადამიანის სახელმწიფოსთან დაპირისპირება, ინდოეთის მეფის მიერ ერთი პიროვნების – ტარიელის, არასათანადოდ შეფასება, მისი ღირსებების იგნორირება და ფაქტობრივად, სამოქმედო ასპარეზიდან ჩამოცილება, საბედისწერო დარტყმას მიაყენებს ინდოეთის სახელმწიფოს და მის მომავალს. ადამიანი, პიროვნება, მისი ადამიანური მისწრაფებები, ინდივიდუალური მოთხოვნილებები, განცდები, ვნებათაღელვა, გრძნობების მიმოქცევა არის „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი თემა და სიუჟეტის განვითარების ფაქტორი.

რუსთაველმა შუა საუკუნეების დიდი ლიტერატურის ისტორიაში სრული დამაჯერებლობით გვიჩვენა სრულყოფილი ადამიანის იდეალი. მისი გმირები ნამდვილი რენესანსული სულის მატარებლები არიან. ძველი ეპოსის ტრადიციული სტილისაგან განსხვავებით, სადაც ავტორი გამქრალია, ,,ჩრდილში დგას“, პოემაში ჩართულია ავტორის ლირიკული წიაღსვლები, რაც ერთფეროვნებისაგან იცავს ნაწარმოებს.

თამაზ ჭილაძის მტკიცებით ,,ვეფხისტყაოსანში” ნაჩვენებია რენესანსის დილა. ელგუჯა ხინთიბიძის მტკიცებით, „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლმხედველობა გვიანდელი შუასაუკუნეების საზოგადოებრივ მსოფლშეგრძნებაში რენესანსული იდეების შემოტანაა, რომელთაგან განსაკუთრებით ღირებულია აქცენტის გადატანა, ემფაზა ადამიანზე. ნდობის გამოცხადება ადამიანური ლოგიკის, ანალიტიკური აზროვნებისადმი.

ასე რომ, რუსთველის მსოფლმხედველობა შუასაუკუნეებრივისა და რენესანსულის იმგვარი ჰარმონიაა, რომლის დონეზეც არ ჩანს შუასაუკუნეობრივის უარყოფა, მასში ჩანს შუასაუკუნეობრივის შევსება ახლით – რენესანსულით. მეცნიერის დასკვნით, ამქვეყნიური რეალობის ფასეულობაში დარწმუნება, ადამიანური სამყაროს სილამაზის ჭეშმარიტი შემეცნება, ადამიანური გონების, ინტელექტისადმი ნდობის გამოცხადება რუსთველის შემოქმედებაში უშუალოდ ერწყმის ტრადიციულ ქრისტიანულ იდეალს – სულის უკვდავების, კეთილი და მონყალე შემოქმედის მარადიულობისა და სიკვდილის შემდეგ ამ უსასრულო ღვთაებასთან შერწყმის რწმენას. ესეც რენესანსული იდეების პირველი აფეთქების თავისებურებაა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია დასკვნის სახით ვთქვათ: ,,ვეფხისტყაოსანი” ეს არის მსოფლიო ლიტერატურის უგამორჩეულესი შედევრი.

დავით შემოქმედელი,
სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი

დურმიშხან ბერიძე

შოთა რუსთაველს

ნეტავ ვიცოდე,
რად გაშორდი მშობლიურ მთა-ველს,
რისთვის ან რატომ მიატოვე
მწვანე წალკოტი,
რატომ ატირდნენ განთიადზე
მტკვარზე მერცხლები,
ბერულ სენაკში,
სიტყვის მეფევ,
რად განმარტოვდი.
ნეტავ ვიცოდე,
დაგილოცა ვინაც გრძელი გზა,
ვინც ფიქრად გაგყვა –
შეგიცვალა ღამის ტაროსი,
ვინც გეამბორა ცხარე ცრემლით
განშორებისას
და გაგატანა პეშვი მიწა –
ვით ავგაროზი.
წლები მიდიან,
სამცხე კრძალვით იცვლის ამინდებს,
მტკვარზე მერცხლები გადიფრენენ
კვლავ ფრთებდალოცვით,
ამ ტკბილ მიწაზე ზეცას რისხვით
რა დააბინდებს,
აქ მიბნეულან სტრიქონები
„ვეფხისტყაოსნის“.

მეცხვეთის ტოპონიმიკაში სანველთა კვალდაკვალ

ჟამთა სიავემ მრავალი ძვირფასი სულიერი, მატერიალური საგანძური და ფასეულობანი მოაქცია მიწის ქვეშ, მაგრამ ნასოფლარებისა და ნაქალაქარების ქვათა ღაღადი, საქართველოს გმირული წარსულის სიდიადეს მოგვაგონებენ.

ვის არ გაუგონია კუმურდოს ტაძარი, სამსრის, განძის და აბასთუმნის ისტორიული ძეგლები, ციხე-ქალაქი ვარძია, აწყურის ციხე და საეპისკოპოსო, თმოგვისა და ხერთვისის ციხესიმაგრეები.

ფრიად საგულისხმო წარწერაა ზარზმის მონასტრის ფრესკაზე: „შოთასძენი“, ხოლო ვანის ქვაბების მონასტრის ფრესკაზე ასახულია „ვეფხისტყაოსნის“ სტროფები. სოფელ ქვაბისხევის „წმინდა მარიამის“ ეკლესიის ფრესკაზე გამოსახულია შოთა რუსთაველი დედა იასთან ერთად. „ვეფხისტყაოსნის“ ყველაზე უძველესი ხელნაწერი დაცულია ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ხალხური თქმულებები და ლეგენდები მოგვითხრობენ, რომ ვარძიის განძეულის ნაწილი პატრიოტებმა გადაარჩინეს და ინახება კვარმის წყაროსთან ახლოს, დარანისებულ აკლდამაში, ხოლო შოთას და თამარის პირადი ნივთები ვარძიიდან წუნდის ეკლესიაში გადაუტანიათ და კედლებქვეშ დაუმარხავთ.

კვლევისა და განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის ძეგლები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებული არიან დიდი მგოსნისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის სახელთან. ასეთ ძეგლებად შეიძლება დავასახელოთ შემდეგი ნაქალაქარები და ნასოფლარები: წუნდა, ნაქალაქევი, თმოგვი, ალასტანი, ბარალეთი, ციხისჯვარი, რუსთავი, ტბეთი, ჩორჩანი, ოქროს ციხე, ზარზმა, ჯაყი და სხვა. თვით ნასოფლარ რუსთავის ველმინდვრებზე ახლაც შემორჩენილია სახელწოდებანი: „შოთას ყორღანი“, რომელიც მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს (ახალი რუსთავიდან 2 კილომეტრის მანძილზე), „ბესაანთ ყანები“ (მდებარეობს ძველი რუსთავის მახლობლად – ბესა იყო შოთას მამის ძმა, იგივე იესა), „შოთას კოშკი“, „შოთაანთ ფაგები“ (ფაგები ნიშნავს ნასახლარ ადგილს), „ჩახრახის მთები“ (მდებარეობს სოფელ ურავლის მიმართულებით), „შოთას წყარო“) მდებარეობს ე.წ. „ჭაჭკრის ბაღების“ მიდამოებთან.

მაისურაძეების (ადრე ობოლაშვილების) მესხური დარბაზი). სოფ. უდე

პოემის 397-ე სტროფში ნახმარია სიტყვა „ერდო“, რაც ნიშნავს საცხოვრებელი სახლის მიწური სახურავის ფართს, საიდანაც მცირე სარკმლით სინათლე შედიოდა სახლში. ჯავახეთის მკვიდრ მოსახლეობაში ამჟამადაც არსებობს ასეთი გამოთქმანი: „ერდოზე შემომდგარიყვნენ“, „ერდოზე ჰქონდათ ქორწილი“ და სხვა. საიდანაც ნათლად ჩანს, რომ ერდო სრულებითაც არ ნიშნავს საკვამურს, როგორც ზოგიერთი ენათმეცნიერი განმარტავს. თუ რამდენად ახლობელი იყო შოთასეული ენა მესხთათვის, ეს კარგად შეიძლება დავინახოთ ქვემოთ ჩამოთვლილ მცირე რაოდენობის იმ სიტყვებიდანაც კი, რომელნიც ნახმარია პოემაში: დახარგავება, დაბეჭვა, ყანდი, საბელი, აყიყი, წანწალაკი, ამყოლი, აზატი, დრამი, რემა, რული, ოლხევი, ხალვათი, ბუქი, ხასი, სირა, საჭოჭმანები, ტაბაკი, ტაროსი, სართი, უსტარი, ხეწვა, ხვაშიადი და ა.შ.

ვინ იცის, რამდენი უნიკალირი ძეგლია გაძარცვულ-დანგრეული, დამწვარი და ნაცრად ქცეული, რამდენი საიდუმლეობაა ჩვენი წინაპრების ძვლებთან ერთად მიწისქვეშ დამარხული, რომელთა შესწავლაც ნათელს მოჰფენდა საქართველოს დიდებულ ისტორიას და შოთას ბრწყინვალე ბიოგრაფიას.

მრავალი თქმულება და ლეგენდა, ხალხური ზეპირსიტყვიერების სხვა ნიმუშები, ისტორიული ძეგლების ნაშთები და საყურადღებო ტოპონიმიკური სახელები, რომლებიც დიდი მგოსნისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის სახელთანაა დაკავშირებული, თავისკენ უხმობენ ისტორიკოსებს, არქეოლოგებს, რუსთველოლოგებს და სხვა მკვლევარებს.

სერგო ბერიძე,
1966 წელი, ქალაქი ახალციხე

თარგმანები

ვასილ სიმონენკო

უკრაინას

სასოწარკვეთილს იმედები რომ
გამიქრება
და ბოლო ხმაზე იშიშხინებს კოცონზე
სტეპის,
შენი სახელით სიხარულით გული
მითბება
და მიზეზია ეგ სახელიც ჩემივე
სევდის.

მოიქუფრება შორეული საავდარო ცა
და, უნდა წასკდეს რომ ველური
მუნჯი ცრემლები,
შენი სახელით მე სამყაროს ამ დროს
დავლოცავ
და ისევ შენი სახელითვე
დავიწყევლები.

დასერავს ზეცას ბოროტება როს
მახვილებით
და მარადიულ შენს მშვენებას მოსპობს
დამსხვრევით,
მაშინ მე მხოლოდ შენთვის, შენი სახელით
ვკვდები
და შენს სახელში ვცოცხლობ ისევ შენი
სახელით!

ივან დრაჩი

ყოფნა დავით გურამიშვილად

გურამიშვილად ყოფნა – ეს ნიშნავს
ეკალ-ბარდს შენსას ართმევდე ნიშას.
გაუვალ ტევრში გზა გაიკვლიო,
სადღეხვალიო ტალღებსაც სძლიო.
უფესვომ თავი ვერ იგრძნო სახლში,
ასჯერ წაიქცე, წამოდგე ცაში.
და იკაშკაშო მზის სხივთა დარად:
დავითად მარად!
იყავი დავით გურამიშვილი –
გაჩნდეს წყლულები ყველგან მიშლილი.
ყოვლისმჭვრეტელი თვალები, მაგრამ
ვერც კი დალანდო სამშობლო, გაქრა.
რომ წინაპართა საფლავ-საძვალოს
ისტორიულ ძილს ვერ ააცალო
მუჭა მიწაც, წლებს დარდით დაითვლი:
იყავ დავითი!
გურამიშვილად ყოფნა-ნეტავ რა...
იმ დამუნჯებულ თითთა კვნეტაა,
ხმალზე მჭრელ კალამს რომ ვერ
ხმარობდეს.
ბუჩქის ქართული არსად ხარობდეს!
რომ მშობლიურ, თუნდ უფსკრულში
ჩახტე,
მნგრეველი სალი კლდის შუბლით გახდე.
სძლიო ყველა ზიზღს, შურს,
გულისხეთქვას:
დავითი გერქვას!
„დავითიანს“ რომ ჰყავდე დავითად –
სიტყვაში ბოლო ძალით დაინთქა.
ვით ხმლის ქარქაშით, მშობლიურ სიტყვის
დაცვა დაგჭირდეს გაღებით სისხლის.
ბევრჯერ დაჭრილმაც, მთლად
ნებისყოფამ,
„დავითიანში“ წამებით მყოფმა
თავი მაინც არ გასცე იერით:
დარჩე ძლიერი!
იყო დავითი – ხოროლში არაგვს
იგრძნობ. ნახავ მთებს ტრამალის ალაგს.
დინჯ ხოროლს წყნარად მიმავალს
მდორედ,
არაგვად ჩასთვლი თუნდ წუთით სწორედ.
ხოროლი, შენთვის, ქართულად ქუხდეს.
ნათლის გრძნობ შიმშილს:
დავითად იშვი!
დავითად ყოფნა – ერების ძმობა,
სიმართლის დაცვის მარადი გრძნობა.
დაიწვა, მაგრამ ფერფლიდან აღდგე,
პრომეთესავით მიჯაჭვულს ჰგავდე
სივრცეებს – ჩემი სტეპისა მკერდით.
ბედს ეურჩო და სამმაგი ბედით
სამ ხალხს შერწყმულმა სცადო თავიდან.
ყოფნა დავითად!
დავითობაა – ათრევდე სახნისს,
ასი სისინის უძლებდე სახმილს
შეურაცხყოფის, დე მხრები მოსტყდეს
ტყუილს, ასი ფრთის ხომ ძალა მოგდევს!
ყოფნა-არყოფნის ითმინო ზღვარი,
ფრთებდაკარგულმაც კი გადამდნარი
მახვილი კალმად არ მოიცილო:
მრავალჟამიერ, გურამიშვილო!

ფეოდორ გარინი

პოეტის სიტყვა

დ.გურამიშვილს

სადაც ხოროლი11 სტეპებს მოივლის, –
სოფელ ზუბოვკას22
აქვს კორომები მოოქროვილი,
ჰყვავის და სუფევს.
დიდებულ ქართველ პოეტს და მებრძოლს,
მხვნელ-მთესველს მიწის,
ამ მიდამოში ეცხოვრა ძველ დროს,
ღრუბლებმაც იცის...
ეს გახლავთ დავით გურამიშვილი,
მისი სიმღერა
უკრაინაში ცეცხლივით თბილი
ბრწყინავს და ელავს.
უყვარდა ბაღი, მუხნარი წყნარი,
ეს ცისკიდური,
საქართველოს შვილს ეტრფის, შეჰხარის
მხარეც მდიდრული.
ვარჩევთ, ვაფასებთ დამსახურებით,
საქმით, სიტყვითაც
პოეტს, მეგობარს, ვინც ერთგულებით
ძნელ გზებს იტვირთავს...
გზებს, რომ შეურწყა დრომ, შეანივთა
ზუბოვკა – სახელს.
სად შემოდგომა ფოთლებს ხალიჩად
ვით სუფრას, აფენს.

უკრაინულიდან თარგმნა
თამარ გაგოძე

---

1 ხოროლი - მდინარე მირგოროდში

2 ზუბოვკა - სოფელი, სადაც მირგოროდთან ერთად გურამიშვილს ჰქონდა მამული ხანგრძლივი სამხედრო სამსახურისთვის

შოთა რუსთაველი



„წიგნი კი არა ჟრჟოლა ხარ, ჩამოქაფული ჩანჩქერის“.

გოგლა

„შოთა რუსთაველი იგივე საქართველოა
და საქართველო – იგივე „ვეფხისტყაოსანი“.

ეკა



ნახ. ლადო გუდიაშვილისა

ნახ, ნ. მალცევისა



ნახ. ლევან ცუცქირიძისა

ნახ. მამუკა თავაქარაშვილისა



ნახ. მიხაი ზიჩისა

ნახ. სერგო ქობულაძისა



ნახ. ზურაბ ხაბაძისა



ნახ. ირაკლი თოიძისა

ნახ. უჩა ჯაფარიძისა

– „ვწერ ვინმე მესხი მელექსე,
მე რუსთველისად ამისა“.

რუსთველი

ნახ. რუსუდან ფეტვიაშვილისა

„ვეფხისტყაოსანი“

გაზეთი იბეჭდება ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის (მერი როსტომ მაგრაქველიძე) – შეკვეთით

ფოლკლორი

ცისცხლის ყვრის მრჩევლის ბერი

შოთას მამა ჩახრუხი, ანუ სოფლის მფლობელი ყოფილა. როგორც კარგ მეჩონგურეს და მოშაირეს, მას საქართველოს ყველა კუთხეში იპატიჟებდნენ ქირსა და ლხინში. ერთხელ იგი თავად აბაშიძეებს დაუპატიჟიათ, პირადი ინტერესის ნიადაგზე მოუნამლავთ და ისე გარდაცვლილა, რომ თავისი უმცროსი ვაჟი შოთა არც კი უნახავს. შოთას თავისზე უფროსი ძმაც ჰყოლია, სახელად ავთანდილი, რომელიც შოთას მოხმარებია და ქალაქ რუსთავის (რუსთავი მაშინ 200 ათას მცხოვრებს ითვლიდა) სკოლა დაუმთავრებია. შემდეგ

სოფელში დაბრუნებულ შოთას ახალგაზრდობა სწავლაში ჩაუბია და მალე ნასწავლი და ბრძენი კაცის სახელი მოუხვეჭია. თამარ მეფეს სამეფო კარზე დაუბარებია და უფროს ბერად, ანუ მრჩევლად დაუნიშნავს.

თამარს შოთა გულით შეყვარებია, ხოლო შოთას უფროსი ძმა ავთანდილი, თურმე, თამარისათვის ბნდებოდა. ბოლოს უთანასწორო სიყვარულისთვის ვერ გაუძლია და გადახვეწილა.

შოთამ თავისი პოემა „ვეფხისტყაოსანი“ თუმცა თამარ მეფეს უსახსოვრა, მაგრამ ავთანდილისა და თინათინის სახეში არა თამარი, არამედ თავისი სათაყვანებელი მეუღლე თინათინი და გადახვეწილი საყვარელი ძმა ავთანდილი განასახიერა.

თამარს ეს ამბავი შეუტყვია და გამწყრალა. დიდი პოეტი სამეფო კარიდან გაუძევებია და იგი იძულებული გამხდარა საქართველოს მოშორებოდა.

მამულის სიყვარულით გულაღტყინებულ პოეტს საბერძნეთის მინაზე დაულევია სული.

მთქმელი პ. ძლეგრიშვილი, ადიგენის რაიონის სოფელი გორგული. ჩაიწერა რ. ზაზაშვილმა,
გაზეთი „განახლებული მესხეთი“, 1966 წელი N2029

კაგკავი

იყო და არა იყო, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი გმირი კაცი, სახელად ტარიელი. მას ჰყავდა ცოლი სახელად მზექალა. ეს ქალი ისე ლამაზი იყო, რომ მზესაებ ანათებდა, ამიტომ დაარქვეს მზექალა. ამ ქალს ბევრი ემტერებოდა, მაგრამ მისი მოტაცება ვერავინ ვერ შეძლო.

ერთ დღეს ტარიელი წავიდა სანადიროთ. ამ დროს მზექალასთან მოვიდნენ ქაჯები, მოიტანეს კიდობანი და დატყვილებით უთხრეს: თქვენმა ქმარმა გამოგზავნაო, ჩადი, ნახე, სინათლე ხომ არსად ჩანსო. დაიჯერა მზექალამ და ჩავიდა კიდობანში. როდესაც დათვალიერება დაიწყო, ქაჯებმა კიდობანს თავი დაახურეს და მისცეს ზღვას, თითონ კი გაქრნენ. ზღვამ ბევრი ატარა მზექალა. ზღვაში მას შეხვდა სამი ჭია: წითელი, თეთრი და შავი. შავმა სთქვა: შევჭამოთო, წითელმა სთქვა: შევჭამოთო, მაგრამ თეთრმა უთხრა: ეს არის ტარიელის ცოლი მზექალაო. ეს რომ შევჭამოთ ტარიელი ცოცხალს არ გაგვიშვებსო..

გაუშვეს კიდობანი და ზღვამ ნელ-ნელა ქანქალით ნაიღო შორს. კიდობანი ზღვამ მიიყვანა ქაჯეთის ციხესთან. ამ დროს მოვიდა ტარიელი ნადირობიდან, შევიდა სახლში და ნახა, რომ მზექალა სახლში არ დაუხვდა.

მაშინ ტარიელმა გაიგო რაშიც იყო საქმე და იმ დღიდანვე დაიწყო ძებნა. ბევრი ეძება, მაგრამ ვერ ნახა. ყოველ დღე და ღამე დადიოდა ზღვის პირებზე. გაჯავრებული ტარიელი გავიდა ერთ ტრიალ მინდორზე და დაინახა დევი, რომელსაც გუთანი უბია და ხნავს. დევმა უთხრა: ტარიელ, რათა ხარ გაჯავრებულიო. ტარიელმა მოსდო გუთანს ხელი და შორს გაისროლა. დევსაც მოავლო ხელი და დაანარცხა მინაზე და გაჯავრებულმა განაგრძო ისევ ძებნა. ბევრი ძებნის შემდეგ ტარიელს შემოაღამდა, მივიდა და ერთ კოშკთან. თურმე ამ დროს გაუგია ხელმწიფეს, რომ ტარიელის ცოლი მოუტაციათ, ადგა და საუბრათ წამოვიდა ტარიელთან, თავის გმირ-ჯარით. მოვიდნენ და ნახეს, რომ ტარიელს სძინავს. ხელმწიფემ სთქვა: მიდით და მძინარე მოჰკალითო, მაგრამ გმირებმა უთხრეს: ეგ რა სახელი იქნება, რომ გმირი კაცი ნამძინარევი მოვკლათო. გავაღვიძოთ და ისე შევებრძოლოთ. ხელმწიფემ დაუჯერა და დაიწყეს ტარიელის გაღვიძება. ბევრი ისარი ესროლეს, მაგრამ ვერ გააღვიძეს. ტარიელს ღრმა ძილი ჰქონდა, რომ ვერასგზით ვერ გამოაღვიძებდნენ, მანამდის ნეკს არ მოსჭრიდნენ.

ხელმწიფე გაჯავრდა, რომ ტარიელი ვერ გამოაღვიძა. მაშინ ერთმა გმირმა უთხრა: მაგას მე გამოვაღვიძებო: მიიყვანა ტარიელის რაში, ნეკი ჩაატოვინა რაშის პირში და უთხრა: რაშო, მოუჭი და მოაკვნიტეო, მაგრამ რაშმა იგრძნო, რომ თავისი პატრონის ხელი იყო და არ მოაკვნიტა. მაშინ გაჯავრდა ხელმწიფე და მივიდა ტარიელთან, დაატოვინა ნეკი ქვაზე, დაჰკრა ხმალი და მოაგდებინა. ტარიელმა მაშინათვე გაიღვიძა, დაინახა მის თავზე ათასობით მდგომი მეომარი. მაშინ ჩუმათ შმუშნით მიუახლოვდა თავის რაშს, შემოახტა ზედ და დაიწყო ომი. გასწყვიტა ბევრი, ბოლოს შეხვდა ერთი გმირი, რომელიც ტარიელს გაუძალიანდა. ბევრი იომეს, მაგრამ ვერცერთი ვერ მოერივნენ. ტარიელმა სთქვა: ეს უეჭველად ჩემი ბიძაშვილი მანუშა უნდა იყვესო და დაანება ბრძოლას თავი და გამოჰკითხა მისი ამბავი, გაიგო, რომ მართლა მისი ბიძაშვილი იყო, მანუშა. მანუშამ უთხრა: ტარიელ, მითხარი რა დარდი გაქვ და გიშველიო. ტარიელმა უამბო ყველაფერი.

ახლა ტარიელმა და მანუშამ დაიწყეს მზექალას ძებნა. ბევრი იარეს თუ ცოტა, შემოხვდათ ერთი კოჭლი კაცი, თურმე ეს კაცი ტარიელთან მიდიოდა, ხელმწიფეს გემეეგზავნა წერილი. მისცა კოჭლ კაცმა წერილი ტარიელს, ტარიელმა რომ ყველაფერი წაიკითხა, სტაცა კოჭლ კაცს ხელი და მარჯვება ხელი მოგლიჯა. მისცა ხელში და უთხრა: წაიღე შენი ხელი, ხელმწიფემ სადილად ჭამოსო. სანყალი კოჭლი კაცი, მარცხენა ხელში მარჯვენა ხელი უჭირავს და მიაქვს. მივიდა ხელმწიფესთან და უთხრა: ტარიელმა მითხრა, ეს ხელი სადილათ მიირთვასო. გაჯავრდა ხელმწიფე და დაიწყო მეომრების შეკრებვა და წამოვიდა ტარიელთან საომრათ.

ცოტა გზა რომ გაიარეს, შემოხვდათ ულუველი მეომარი. მაშინ ბიძაშვილებმა დაიწყეს ომი. ომის დროს ხელმწიფემ იცნო თავისი მეომარი მანუშა და უთხრა: მანუშა, ნუ დამლუპამ, მიშველეო. მანუმამ პასუხათ მოუქნია ხმალი და გადმოაგდო ძირს და განაგრძო ომი. გასწყვიტეს ყველა და რომ მორჩნენ ომს, გაუდგნენ გზას. ბევრი იარეს თუ ცოტა, შეხვდათ ერთი ქაჯი და უთხრეს: აქეთ ქაჯეთის ციხე საით არისო. ქაჯმა გაიგო ეს სიტყვა თუ არა, მაშინათვე გაქრა. გავიდა და ქაჯეთის მეფეს უთხრა: დამალეთ მზექალა თუ არა ტარიელი და მისი ბიძაშვილი მოდიანო. ქაჯეთის მეფემ მზექალა ჩასვა ასკლიტულ კოშკში და დააყენა ფარულები.

ბევრი იარეს ბიძაშვილებმა. ბოლოს გადასწყვიტეს კოშკთან მისვლა, მაგრამ ოთხკუთხივ ზღვა ერტყა ციხეს. მაშინ ადგა ტარიელმა, გაიშვირა კოშკისკენ ხელი და მანუშას უთხრა: მანუმა, ადექი და შენი რაშით ჩემს მკლავზე გაიარეო. მანუშამ თავის რაშს შემოჰკრა მათრახი და გაჰქროლა ტარიელის მკლავზე. რაში გადავიდა ციხეში. როდესაც მიდიოდა მანუშა, ტარიელს უთხრა: თუ ერთი წლის მერე ცოცხალი დავბრუნდი, ხომ მოვალ გამარჯვებულიო და მზექალასაც მოგიყვანო, თუ არა, იცოდე, მკვდარი ვარ და საშველად ჩამოდიო.

გადავიდა მანუშა, შეაღო ციხის კარი, შევიდა შიგ და ნახა, რომ აუარებელი ქაჯი ირევა. ქაჯებმა იგრძნეს, რომ ტარიელის ბიძაშვილი მოსულაო და მაშინათვე მივიდნენ და შეატყობინეს ქაჯეთის მეფეს. უთხრეს, რომ ტარიელის ბიძაშვილი მანუშა მოსულაო და შევებრძოლოთო. დაიწყო დიდ ციხეში ომი. მოდის ერთზე ათასი. სწყვიტა მანუშამ ბევრი, მაგრამ ერთ თუ მოჰკლავს, ხუთი ცოცხლდება და უფრო ემატება მეომარი. იომა ერთი წელიწადი, როდესაც ერთ წელიწადს ერთი საათი უკლდა, მაშინ ქაჯეთის მეფემ მიასია აუარებელი ქაჯი და მოჰკლეს მანუშა.

სანყალი ტარიელი იცდიდა, გაუნძრევლივ ერთ წელიწადს ზღვის პირას. ერთი წელიწადი რომ შესრულდა, ნახა, რომ მისი ბიძაშვილი მანუშა უკან არ დაბრუნდა, მაშინ წავიდა და დაიწყო სიარული. იშოვა უზარმაზარი გრძელი თოკი, მოვიდა ზღვის პირას, გადაისროლა და მოსდო ქაჯეთის ციხეს და ზედ გაიარა. მიიდა ქაჯეთის ციხესთან, მაგრამ კარი ვერსაით ვერ ნახა. ადგა და გაჯავრებულმა მიჰკრა მუხლი და ადგილი შეანგრია. დახვდა კარებში ყარაული, სტაცა ხელი ყარაულს და ისე დაანარცხა მინაზე, რომ იმის გაცოცხლება აღარ შეიძლებოდა. მაშინათვე ატყდა დიდი ომი. იბრძვის ტარიელი. გასწყვიტა ქაჯები და მივიდა ქაჯების მეფესთან და უთხრა: ჩემი მზექალა გამომიყვანეო. მაშინ პასუხად ქაჯეთის მეფემ დაიბარა ორი ქაჯი და უთხრა: წადიო, მზექალას პირში ჩაუძვერითო. გავიდა დანიშნული დრო და მივიდა ტარიელი, მაგრამ ქაჯეთის მეფემ ქალის მიცემის მაგიერ ომი დაუწყო. გასწყვიტა ტარიელმა ქაჯები, მაგრამ ისინი ულეველნი იყვნენ. ორმოცი წელიწადი გაწუწყვეტლივ ომობდა და ბოლოს მიაღწია თავის მიზანს, როდესაც გასწყვიტა ყველა, მივიდა ასკლიტულ კოშკთან, მიჰკრა ფეხი და ასკლიტული ერთ მირტყმაზე მიანგრია. შევიდა და ნახა, რომ თავისი მზექალა დაღონებული წევს და რაღაც ტკივილი აწუხებს. გადაეხვივნენ დიდი ხნის დაუვიწყარი ცოლ-ქმარი და ერთმანეთის ყურებით ვერ ძღებოდნენ. ტარიელმა უთხრა: მითხარი მზექალა, რა გაწუხებსო. მზექალამ უპასუხა: მე მუცელში ორი ქაჯი მყავს და ის მაწუხებსო. ადგა მაშინ ტარიელმა და იფიქრა, მოდი ხელს დავარტყამ ზურგზე და იქნებ ამოვარდნენო, მაგრამ მზექალამ უთხრა: შენ მიდი მანდ მიიმალე და ესენი როცა ამოვლენ, მე დავიყვირამო და მაშინათვე პირს მოუკუმამ, რომ ვერ ჩამიძვრნენო, მაშინ შენ შემოდი და ორივე დახოცეო. ასეც მოიქცნენ. მიიმალა ტარიელი იქვე ახლოს, გავიდა ცოტა ხანი, ამოძვრა ორივე ქაჯი მზექალას მუცლიდან. დაიყვირა მზექალამ და მოკუმა პირი. შემოვარდა ტარიელი და რომ გააღო პირი და უნდა დეეყვირა, მაშინ ერთმა ქაჯმა ისკუპა და ჩაძვრა ტარიელის პირში, მეორე კი ნაკუწ-ნაკუწ აქცია. მაშინ ტარიელმა მოჰკიდა ხელი თავის მზექალას და როდესაც ციხეს სცილდებოდა, ტარიელის მუცელში ქაჯმა ნძრევა დაიწყო. ტარიელს სტკიოდა მუცელი, მაგრამ ხმას არ იღებდა. როდესაც მიდიოდა ტარიელი, მშვენიერი დარი იყო. ამ დროს ატყდა ჭექა-ქუხილი, ამოვარდა საშინელი ქარი და იქაურობას სულ მთლად გლიჯავდა. მაშინ მზექალამ უთხრა ტარიელს: ეს ჭექა-ქუხილი რომ ატყდა, დედაჩემი და მამაჩემი არიანო. ეს წვიმა დედაჩემის ცრემლიაო და ეს ქუხილი – მამაჩემი ჯავრობს და მისგან არისო. მოდი, ფეხს აუჩქაროთ, თორემ კარგი არ მოგველისო და გამოუდგნენ ჩქარის ნაბიჯით გზას. ტარიელმა უთხრა მზექალას: შენ ნადი და მე აქ დავრჩებიო და ვინც შემებრძოლება და შევებრძოლებიო. გაუშვა მზექალა და თითონ დარჩა იქ. ამ დროს მზექალას მამა ჩამოვიდა და დაიწყო ბრძოლა სიმამრმა და ტარიელმა.

ბევრი იომეს, მაგრამ ვერც ერთმა ვერ დასძალეს. მაშინ მოვიდა მზექალა და უთხრა ტარიელს: „ძაღლა ნუ კი ჰკრავ სპილოსა, დაბლა შემოჰკარ რბილოსა“. გაიგო ტარიელმა მზექალას სიტყვები თუ არა, მაშინათვე შემოუქნია ხმალი და შემოჰკრა ბარძაყებში და გადმოაგდო თავის სიმამრი რაშიდან, სნორეთ ამ დროს ქაჯმაც დაიწყო ტარიელის მუცელში ნძრევა. უნდოდა ტარიელის მუცელი გამოეჭამა, მაგრამ ვერ შესძლო. და როდესაც მოდიოდნენ, მოაგონდა ტარიელს თავისი ბიძაშვილი მანუშა და დაიწყო ქაჯებში თავის ბიძაშვილს ძებნა. დიდი ძებნის შემდეგ იშოვა თავისი ბიძაშვილი, ის იყო დაიკუზა, ხელში უნდა აეწია, რომ ამ დროს გადმოვარდა ქაჯი პირიდან. სტაცა ტარიელმა ხელი და დაიჭირა. ის იყო უნდა დეენარცხებინა მიწაზე, ქაჯმა უთხრა: ნუ მომკლავ და ერთ დავალებას შეგისრულებო. ტარიელმა უთხრა: ჩემი დავალება იქნება ესო, გამიცოცხლე ჩემი ბიძაშვილი მანუშა. მაშინ ქაჯმა გააკეთა რაღაც ჯადოსნობა და მანუშა გააცოცხლა და გამარჯვებულნი დაბრუნდნენ თავიანთ სახლისაკენ.

მთქმელი სიმონ ფეიქრიშვილი. ტრაქტორისტი, ქ.ახალციხე, ჩაიწერა აპ. მახარაძემ
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, ფაა13031

ვეფხის-ტყაოსანი სიმღერად

ყოველწლიურად ჩვენში დღესასწაულებზე და ქორწილებში დიდი ლხინი იმართებოდა, სადაც სიმღერა ხშირად თათრულად იყო. ქეიფის დროს შოთას ლექსებს ვმღეროდით. გაიმართებოდა შეჯიბრება. ხშირად ჩემი მოწინააღმდეგისათვის სიმღერით მითქვამს:

ქართული ენით გამლექსი,
რუსთაველის წინ ვინ არის,
არვის უთქვამს მისი ცუდი,
მისი ტოლი არვინ არის.
მეთორმეტე საუკუნეში
რუსთაველის აზრი წინ არის,
მისი ნაწერი ლექსები
დღესაც კი აქამდის არის.

ამას იმის შემდეგ ვამბობდი, როცა ნათქვამი მქონდა:

დასრულდა ესე ამბავი
ვით სიზმარია ღამისა,
გარდახდეს გარდასახადი,
ნახეთ სიმუხთლე ჟამისა...

განმეორებით მოწინააღმდეგე გუნდს ბოლოს კიდევ ვეტყოდი:

ზოგიერთი ცრუ მოშაირე
პოეტს ძველს დაუწუნებს,
ბრიყვი უსწავლი კაცი
სოფელს მთლათ დაიწუნებს.
უცხო გარეგანი უყვარს,
თავის ქართულს დაიწუნებს,
ორიოდე ლექსი იცის,



უკვდავ რუსთველს დაიწუნებს.

ამით თავდება შეჯიბრება გუნდებს შორის. ჩვენი გუნდი ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა.

მთქმელი და ჩაწერის ადგილი არაა მითითებული, ჩაწერილია მესხეთში აპ. მახარაძის მიერ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივი (ფაა13029)

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scri.co; fcoo: ლიტერატურული მესხეთი

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს.
სარეგისტრაციო N19/4-17

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა
შპს „საარის“ სტამბაში
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2.94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. N3,
ტელეფონი მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24
lit.meskheti@gmail.com
lit_meskheti@yahoo.com